# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი-კვირა, 21-22 სექტემბერი. 2019 წ. №187-188 (8853-8854) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი




# „20 ივნისი უპასუხისმგებლო პოლიტიკური ლიდერების სინდისზეა“

**სამწუხაროდ, 20 ივნისის აქციაზე 250 ადამიანი დაშავდა იმიტომ, რომ პარლამენტზე შტურმი განახორციელეს უპასუხისმგებლო პოლიტიკურმა ლიდერებმა,** — ამის შესახებ ჟურნალსიტებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გუშინ განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ამ აქციის შეწყვეტის პერიოდში დაზიანდნენ.

**„მათი დამზიანებლები დაკავებული არიან. გამოძიება გრძელდება და ყველა, ვინც ამ აქციის შეწყვეტის დროს ჩაიდინა გადაცდომა, დაისჯება. ეს გამოძიების ნაწილია. მაკო გომურთან მე როგორმე ურთიერთობას გავარკვევ, ჩემი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით“,** — აღნიშნა გიორგი გახარიამ.

რაც შეეხება ჟურნალისტის კითხვას დამიზნებით სროლის შესახებ, გახარიამ აღნიშნა: **„დამიზნებით ამ აღჭურვილობის სროლა შეუძლებელია, რაღაც მაინც წაიკითხეთ“.**

**მე ვიყავი პირველი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც მივიდა პროკურატურაში და გამოძიებას ჩვენება მისცა, თუ საჭირო იქნა, მე ვიქნები პირველი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ასევე მივა პროკურატურაში და მისცემს ჩვენებას,** — განაცხადა გიორგი გახარიამ. როგორც გახარიამ აღნიშნა, პროკურატურა გადაწყვეტს, რამდენი ადამიანი იქნება დასაკავებელი, ან სად იქნება დასაწყები დევნა.

**„20 ივნისი იყო გავრილოვის დღე, მაგრამ ეს იყო პარლამენტის შტურმის ღამე. კიდევ ერთხელ ვიმეორებ და კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულმა პოლიციელმა მაშინ შეძლო და დაიცვა სახელმწიფო ინსტიტუტი, ემსახურა სახელმწიფოს და შეასრულა თავისი ძირითადი მოვალეობები. რა თქმა უნდა, იყო ერთეული გადაცდომები, რომელზეც დევნა დაწყებულია, გამოძიება გრძელდება, თუ იქნება საჭირო 10 ადამიანის დაკავება, დააკავებენ 10 ადამიანს, თუ იქნება საჭირო, დააკავებენ ოცს“,** — განაცხადა გიორგი გახარიამ. რაც შეეხება პასუხისმგებლობის გადანაწილებას, როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, **„იმ პოლიტიკურმა ძალებმა, იმ პოლიტიკურმა სუბიექტებმა, რომლებმაც დააორგანიზეს 20 ივნისის აქცია და, რომლებიც ტელევიზიის ეკრანიდან მოუწოდებდნენ ადამიანებს, ძალადობით შესულიყვნენ პარლამენტის შენობაში, მათაც უნდა აიღონ პოლიტიკური პასუხისმგებლობა“.**



„ერთმორწმუნე“ ცოდვილნი

# პატრიარქ კირილის ქმედებას სეპარატიზმის წახალისებად აღვიქვამთ!



**საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ეხმიანება მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის მილოცვის წერილს, რომელიც მან ოკუპირებული რუსეთის ე.წ. „პრეზიდენტს“ გაუგზავნა.** შესაბამის განცხადებას საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე ავრცელებს.

**„მართალია, მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ გვერდზე არ იძებნება აფხაზეთის „პრეზიდენტისადმი“ რუსეთის ეკლესიის მეთაურის მილოცვა, მაგრამ, ვინაიდან მათი მხრიდან არ მოხდა ამ ფაქტის უარყოფა, გამოვხატავთ ჩვენს პოზიციას:**

**აფხაზეთის მიწა-წყალი რომ ძირძველი ქართული ტერიტორიაა და იგი მხოლოდ საქართველოს საზღვრების ერთიანობაში უნდა იქნას აღქმული, ამას არც რუსეთის ეკლესია უარყოფს და აღნიშნულ სივრცეში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას აღიარებს. ამ ფონზე მისი უწმინდესობის კირილის, ქმედება ჩვენთვის გაუგებარია და აღიქმება სეპარატიზმის წახალისებად, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობისაკენ სწრაფვის შემაფერხებელია.**

**გამოვთქვამთ იმედს, რუსეთის ეკლესია პატივისცემით მოეპყრობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და, გამომდინარე ქრისტიანული სწავლებიდან, ხელს შეუწყობს საქართველოსა და რუსეთს, ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას“,** — წერს დეკანოზი ჯაღმაიძე სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა რაულ ხაჯიმბას „პრეზიდენტად არჩევა“ მიულოცა.

# პარლამენტმა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მიიღო

**საქართველოს პარლამენტმა 85 ხმით, მესამე მოსმენით „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მიიღო.**

**კოდექსი სრულად 2020 წლის 1 ივნისს ამოქმედდება. მანამდე კი სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებებს ვალდებულება ეკისრება, შეიმუშაოს მთელი რიგი სამართლებრივი რეგულაციები, პროექტები და ტექნიკური სტანდარტები.**

გარდა ამისა, კოდექსის სრულად ამოქმედებამდე, საქართველოს პარლამენტი ვალდებულებას იღებს, 2019 წლის 1 ნოემბრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს კოდექსის ინპლემენტაციის სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში დაზუსტდება რეგულაციების შემუშავების თარიღები და სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებლობები. გეგმის აღსრულებას ზედამხედველობას კი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი გაუწევს.

# ორლობის დედაკაცებს პოლიტიკოსობა უნდათ!



5

# სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მოსახლეობამდე სწორად ვერ მივიდა

4

# გენერალურმა პროკურატურამ პატიმრების შეწყალების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

როგორც გენერალური პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს.

**„საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მსჯავრდებულების: რამაზ დევაძის, ასლან ბეჟანიძის, ზურაბ ნადირაძის და სხვა პირთა შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. საზოგადოებას პერიოდულად მივაწვდით ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ“,** — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.



საქართველოს პრეზიდენტმა 28 აგვისტოს მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით 34 მსჯავრდებული შეიწყალა, მათ შორის აღმოჩნდნენ მკვლელობისთვის გასამართლებული სამი პირი და ერთი ძებნილი. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულების შეწყალების ფაქტებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებას მიესალმება. ამის შესახებ ადმინისტრაციის განცხადებაშია ნათქვამი.

**„მივესალმებით გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებას პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულების შეწყალების ფაქტებზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. ისეთ დროს, როცა არ წყდება ინსინუაციების და მძიმე ცილისმწამებლური განცხადებების გავრცელება, ერთადერთი სწორი გზა პროკურატურის მიერ ფაქტების შესწავლა და შემდეგ სათანადო სამართლებრივი რეაგირების განხორციელებაა“,** — ნათქვამია განცხადებაში.




# სარეაბილიტაციო დაწესებულების ნაცვლად – მიკრო ციხეები

**იუსტიციის სამინისტრო არასრულწლოვანთა მე-11 სარეაბილიტაციო დაწესებულების დახურვას აპირებს. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, რომელმაც პენიტენციური სისტემის მუშაობის ერთწლიანი ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.**

მისი განცხადებით, აღნიშნული დაწესებულება მეტ-ნაკლებად წარმატებულია, თუმცა სურვილია, სისტემა წავიდეს იმისკენ, რომ ბავშვები, რომლებიც ოცნებობენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან თუნდაც ჰარვარდში სწავლაზე, არ იხდიდნენ სასჯელს მათთან ერთად, რომლებსაც საპირისპირო ოცნება აქვთ. მისი თქმით, ეს მნიშვნელოვანი იქნება არასრულწლოვნებში დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისითაც.

**როგორც თეა წულუკიანმა განაცხადა, მიმდინარეობს მუშაობა კონცეფციაზე, რომ ბავშვებისთვის მიკრო ციხეები შეიქმნას. ამასთან, მინისტრის თქმით, სხვანაირი მიდგომა იქნება მათთან, ვინც ოცნებობს, გახდეს კრიმინალური ავტორიტეტი, რადგან მათთან სხვანაირი მუშაობაა საჭირო. ანგარიშის წარდგენას მთავრობის წევრები, ასევე მსჯავრდებულებიც ესწრებოდნენ.**



# მორატორიუმი გამოსავალი არ არის!




შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე **ზვიად ქორიძე** აცხადებს, რომ მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა შეწყალების მექანიზმის გამართვა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა. მას სრულიად უადგილოდ და გაუმართლებლად მიაჩნია პარლამენტის მიერ შეწყალების მექანიზმის რაიმე სახით რეგლამენტირება, რა თხოვნითაც პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა მიმართა კანონმდებლებს, როცა შეწყალებაზე მორატორიუმი გამოაცხადა, რითაც, ზვიად ქორიძის თქმით, დაზარალდა შეწყალების მექანიზმი:

**„გუშინ ეს მექანიზმი დაზარალდა, რადგან შეშინებულმა პრეზიდენტმა უცბად გამოაცხადა, რომ ის საერთოდ არ გამოიყენებს შეწყალების მექანიზმს და რომ მორატორიუმს აცხადებს, ვიდრე პარლამენტში არ შეთანხმდებიან რაღაც მარეგულირებელ ნორმებზე. და, საერთოდ, ვინ ეკითხება პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას ან ხელისუფლების სხვა რომელიმე შტოს პრეზიდენტის ამ უფლების განსაზღვრას, ეს არის კიდევ სხვა თემა!“.**

დღემდე მოქმედია პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ ხელმოწერილი 2014 წლის ბრძანებულება „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმის მუშაობას და რომელსაც წინ უსწრებდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის შედარებით მცირე მოცულობის ბრძანებულება „შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“.

ზვიად ქორიძე თვლის, რომ შეწყალებაზე კონსტიტუციური ჩანაწერი არის სრულიად საკმარისი და მას მეტი რეგულაცია არ სჭირდება:

**„შეწყალების მექანიზმს არეგულირებს ერთადერთი ჩანაწერი კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტი „იწყალებს მსჯავრდებულებს“ და ეს არის სავსებით საკმარისი ჩანაწერი“.**

შეწყალების თხოვნით პრეზიდენტისთვის მიმართვის უფლება აქვს ყველა სახის დანაშაულში მსჯავრდებულს. ზვიად ქორიძე უმნიშვნელოვანესად თვლის შეწყალების მექანიზმის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფას:

**„იმისათვის, რომ პრეზიდენტის გადაწყვეტილება არ იყოს ვოლუნტარისტული და შუასაუკუნეების მონარქების გადაწყვეტილებების მსგავსი, თავად პრეზიდენტმა უნდა მოიფიქროს ისეთი მექანიზმი, რომლითაც იგი თვითონ იქნება დაცული.**

**შეიძლება ის სქემა, რომელიც პრეზიდენტმა მარგველაშვილმა მოიფიქრა, უნივერსალური არ იყო, მაგრამ ის იყო რამდენიმესაფეხურიანი ფილტრი, რომელიც, მე ვთვლი, მას ძალიან ეხმარებოდა. იმ ადამიანების საქმეები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ ვადის კრიტერიუმებს, კომისიის არსებით განხილვაზე ავტომატურად არ გამოდიოდა. ვინც აკმაყოფილებდა ვადის კრიტერიუმებს, კომისია ყველას იხილავდა და იქიდან არჩევდა ადამიანებს, რომელთა შეწყალების დადებით რეკომენდაციას სთავაზობდა პრეზიდენტს და ამის შემდეგ, ვისაც უარს ეუბნებოდა, მას პრეზიდენტი არც იხილავდა. ვისაც კომისიის დადებითი რეკომენდაცია ჰქონდა, პრეზიდენტი მათ სიასაც დამატებით იხილავდა და მათ ნაწილს უარს ეუბნებოდა, რადგან კომისიის დადებითი რეკომენდაცია ავტომატურად არ ნიშნავდა, რომ პრეზიდენტი მსჯავრდებულს შეიწყალებდა“.**

კომისიის არარსებობის პირობებში გამოცემული შეწყალების ბოლო აქტის შედეგის გამო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის მიმართ მწვავე კითხვები გაჩნდა, რომლებსაც პასუხი არ გასცემია:

**„ერთ-ერთი ყველაზე ლეგიტიმური კითხვა, რაც გაჩნდა, იყო ეს — იყო თუ არა აქ რაიმე ანგარების მომენტი და, რა თქმა უნდა, ეს არის ის კითხვა, რომელმაც გააჩინა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. თუ არის ანგარებითი მომენტი, ამას ძალიან სერიოზული გამოძიება სჭირდება, რადგან ეს შეიძლება აღმოჩნდეს საფუძველი იმპიჩმენტის პროცესისა“.**

რა უნდა გააკეთოს ამ ვითარებაში პრეზიდენტმა?

**„მოხდა ავარიული ვითარება, როცა საზოგადოება მას სთხოვს პასუხს — გაგვარკვიე ამ 23-კაციან სიაში როგორ აღმოჩნდა ასეთ მძიმე დანაშაულზე მსჯავრდებული 3 ადამიანი. ამ კითხვაზე პასუხს ითხოვს საზოგადოება. პრეზიდენტმა უნდა უპასუხოს.**

**პრეზიდენტმა ის მაინც უნდა თქვას, ვისთან ითათბირა, როცა იღებდა ამ გადაწყვეტილებას.**

**დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი განცხადება შედის, რადგან საპატიმრო დაწესებულებებიდან მსჯავრდებულები პერმანენტულად წერენ შეწყალების თხოვნას. არა მგონია, პრეზიდენტი ზურაბიშვილი ამ განცხადებებს კითხულობდეს და მათ საქმეებს ეცნობოდეს. ამას ფიზიკურადაც ვერ შეძლებს ერთი ადამიანი, მაგრამ ის, რომ ვიღაცასთან მან შეიძლება ითათბირა, ესეც უკვე ინფორმაციაა საზოგადოებისთვის, რათა არ გაჩნდეს კითხვები, რომლებიც უფრო და უფრო იკრებს ძალას საზოგადოებაში — ხომ არ არის აქ რაიმე ანგარებითი მომენტი“.**

ზვიად ქორიძე სრულიად მიუღებლად თვლის შეწყალების საკითხში პარლამენტის რაიმე სახით მონაწილეობას:

**„კანონის მიღება, ჯერ ერთი, იქნება სამართლებრივი ნონსენსი — რომ შეწყალების მექანიზმზე, რომელიც პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება, რაღაც ნორმები დაადგინოს პარლამენტმა — ვინ შეიძლება შეიწყალოს პრეზიდენტმა და ვინ — არა. სისხლის სამართლის კოდექსი ამბობს, რომ ნებისმიერ მსჯავრდებულს, რომელიც მიიღებს სასამართლო განაჩენს, აქვს უფლება მიმართოს პრეზიდენტს შეწყალებისთვის. ამას მოსამართლე უწერს კიდეც განაჩენში ყველა მსჯავრდებულს.**

**მეორე — როგორ შევარჩიოთ ის გარკვეული ნორმები, რომლის გამოც, მაგალითად, შეიძლება, შეწყალების კომისიამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებული ადამიანის მიმართ გამოიჩინოს ჰუმანური მიდგომა და შესთავაზოს პრეზიდენტს შეწყალება. არის საკითხები, რომლებიც საკანონმდებლო ჩარჩოში ვერ ჩაჯდება“.**

ზვიად ქორიძეს მაგალითად მოჰყავს შემთხვევა, როცა შეწყალების კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულ პირს, რომელიც მოგვიანებით იქცა წამების მსხვერპლად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მოწმის სტატუსითაც წარდგა სასამართლოს წინაშე.

დღევანდელ ვითარებაში, როცა ფურცელზე არსებული შეწყალების კომისია ფაქტობრივად არ არსებობს, როცა პრეზიდენტი თავის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე დაუზუსტებელი ვადით მორატორიუმს აცხადებს და პარლამენტისგან ელოდება წესების დადგენას, იქმნება კიდევ უფრო რთული ვითარება იმ თვალსაზრისითაც.

შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ამბობს: **„გადაწყვეტილების ერთადერთი მიმღები არის პრეზიდენტი. მან უნდა მოიფიქროს ეს მექანიზმი. უნდა მოიფიქროს ის ფილტრი, რომელიც, კიდევ ერთხელ ვამბობ, მხოლოდ მას არ დაიცავს. დაიცავს საზოგადოებას და დაიცავს მსჯავრდებულებსაც, რადგან განცხადებები, რომლებიც შემოდის, აუცილებლად უნდა განიხილოს პრეზიდენტმა. იმ მსჯავრდებულმა, რომელიც შეწყალებას ითხოვს, უნდა მიიღოს პასუხი. მან უნდა იცოდეს, რომ მისი განცხადება რაღაც ეტაპზე, რაღაც დონეზე საპრეზიდენტო სტრუქტურაში განიხილეს.**

**ეს პრეზიდენტმა უნდა გამართოს. ამიტომ, ფუჭად დაკარგული დრო იქნება ის კონსულტაციები, რასაც ახლა გამართავენ პარლამენტში“.**

ნინო გელაშვილი

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება



საქართველოს მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის 2019 წლის 20 სექტემბრის საერთო კრებამ აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) აირჩია **რამაზ ხუროძე** (სპეციალობა „მართვის სისტემები“).

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

# ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაციის ვიზიტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას ეწვია 8-კაციანი დელეგაცია ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიიდან მისი ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ იაპინ ჩჟანის ხელმძღვანელობით. აღნიშნულ ვიზიტს წინ უძღოდა ამავე აკადემიის პრეზიდენტის, პროფესორ ჩუნლი ბაიას ვიზიტი, რა დროსაც სხვა საკითხებთან ერთად წარიმართა მოლაპარაკება ორ აკადემიას შორის გრძელვადიანი მემორანდუმის გაფორმებაზე, რომელსაც სწორედ მ/წ 18 სექტემბერს მოეწერა ხელი.

აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს ახლო კონტაქტებს ორი ქვეყნის სამეცნიერო ინსტიტუციებს შორის. მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას ყველა სფეროში საერთო ინტერესების საფუძველზე. თანამშრომლობა მოიცავს მეცნიერების ყველა იმ დარგს, რომლითაც დაინტერესებულნი არიან მხარეები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მედიცინა, გეოლოგია, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა და ინჟინერია, ინფორმატიკა და გარემოს დაცვა.

მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეების თანამშრომლობას ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებაში, მეცნიერ-მკვლევართა გაცვლას, მხარეების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობას, ერთობლივი სიმპოზიუმების, სემინარების გამართვას და ა.შ. შესაბამისი მხარდაჭერა ექნება სხვა ფორმის თანამშრომლობასაც საჭიროებისა და შეთანხმების შემთხვევაში. მხარეები ერთმანეთს შეხვდებიან რეგულარულად, რათა განიხილონ თანამშრომლობის მიმდინარეობა და მისი შემდგომი გაღრმავების პირობები.

**რამაზ ხუროძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.**

# ერთი იყოს, მაგრამ ღირდეს იქ მუშაობა...

## ახალი შრომის კოდექსი ათასობით მოქალაქეს ერთზე მეტ სამსახურში მუშაობას უზღუდავს

**თუ დღეს ერთზე მეტი დამსაქმებლისთვის ასრულებთ სამუშაოს, მომავალში სახელმწიფომ ეს უფლება შესაძლოა, კანონის ძალით წაგართვათ.** შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების შესახებ ქართული ოცნების წევრის, დეპუტატ დიმიტრი ცქიტიშვილის მიერ მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის მეთექვსმეტე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მოქალაქეებს ეკრძალებათ ერთზე მეტ სამსახურში დასაქმება, თუ აღნიშნული სამსახურის შესრულებით დადგენილი საათები ჯამურად აჭარბებს შრომის კოდექსის მეხუთე თავში არსებულ განაწესს.

**„აკრძალულია ერთზე მეტ სრულ და არასრულ სამუშაო განაკვეთზე პირის დასაქმება, თუ დასაქმებულის მიერ მეორე და/ან შემდეგი სრული და/ან არასრული სამუშაო განაკვეთის შესრულებით (შეთავსებით) ჯამურად ირღვევა V თავით დადგენილი სამუშაო დროის სტანდარტი“,** — ნათქვამია კოდექსის პროექტში. თავად შრომის კოდექსის მეხუთე თავში კი წერია, რომ — „დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს და დღის განმავლობაში 8 საათს. ხოლო, შვიდდღიანი სამუშაო პერიოდის განმავლობაში, ზეგანაკვეთების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. შრომის კოდექსის მეხუთე თავი კიდევ სხვა შეზღუდვებსაც აწესებს, მაგალითად, თუ „სამუშაო დრო შეადგენს არანაკლებ 6 საათს და არაუმეტეს 9 საათს, შესვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 45 წუთი. თუ სამუშაო დროის ხანგრძლივობა აღემატება 9 საათს, შესვენების ხანგრძლივობა უნდა იყოს სულ მცირე 60 წუთი.“

იმისთვის, რათა მოქალაქეს ერთზე მეტ სამსახურში შეეძლოს მუშაობა, მისი პირველი სამუშაოს შესრულებით, აღნიშნული თავით დადგენილი მაქსიმალური ლიმიტები არ უნდა იყოს შევსებული. ის, რომ შეთავსებული სამუშაოს შესრულება ძირითადი სამსახურისგან თავისუფალ საათებში უნდა მოხდეს, ეს მოქმედი კანონმდებლობითაც არის დადგენილი, თუმცა, არსებულ კანონმდებლობასთან შედარებით ახალი კანონპროექტი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებაზე უფრო მკაცრ მოთხოვნებს აწესებს, რაც თავის მხრივ ზღუდავს დროის იმ შესაძლო მონაკვეთის მოცულობას, რომლის განმავლობაშიც, მოქალაქეს მეორე სამსახურის შესრულება შეუძლია. ის რომ, აღნიშნული გარემოება პრობლემურია, ეს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის შეფასებაშიც არის ასახული. ცვლილებამ შესაძლოა, ათასობით ადამიანს დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, შეთავსებადი სამუშაოს შესრულება აუკრძალოს.

**BMG**

# ლარის გამყარების იმედი გაჩნდა!..

## სავალუტო ფონდმა ეროვნულ ბანკს გაცვლითი კურსი დაუწუნა...



**საქართველოში ვიზიტად მყოფმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ პირველად გამოთქვა წუხილი ქართული ვალუტის კურსის რყევასთან დაკავშირებით. მისიის ხელმძღვანელის მერსედეს ვერა-მარტინის განცხადებით, საქართველო გონივრულ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს, თუმცა ამ პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას ეროვნული ვალუტის გაუფასურება წარმოადგენს.**

ფონდს კარგად ესმის, რომ გაცვლითი კურსის გაუფასურებამ ქართული ოჯახებისა და ბიზნესების მატერიალურ მდგომარეობაზე ნეგატიური გავლენა იქონია, თუმცა, აქვე მარტინი აღნიშნავს, რომ გაცვლითი კურსის მცურავი რეჟიმის შენარჩუნება ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

**„მივესალმებით ხელისუფლების მზაობას, განაგრძოს გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება და სტრუქტურული რეფორმების გატარება. ინფლაციის მოლოდინის ზრდის ფონზე, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამა წლის სექტემბერში მართებულად ასწია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 50 საბაზისო პუნქტით და ბაზარს ანიშნა მონეტარული პოლიტიკის შემდგომი შესაძლო გამკაცრების შესახებ, თუ ინფლაციური წნეხი შენარჩუნდა.**

**სსფ-ს კარგად ესმის, რომ ბოლო თვეებში ლარის გაუფასურების გამო ბევრი ქართული ოჯახი და ბიზნესი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, განსაკუთრებით ისინი, ვისაც სესხი აქვს აღებული დოლარში. თუმცა, საერთო ჯამში, მოქნილი გაცვლითი კურსი ეკონომიკას საშუალებას აძლევს, სწრაფად მოერგოს შოკებს და ამით კარგ სამსახურს უწევს ქვეყანას“,** — აცხადებენ სავალუტო ფონდის მისიაში.

ეროვნულ ბანკში სსფ-ს ვიზიტის შემდეგ უკვე სხვაგვარად საუბრობენ. ისინი ირწმუნებიან, რომ ლარი დიდი ალბათობით გამყარებას დაიწყებს, ხოლო სებ-ი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას კვლავაც გააგრძელებს. ცენტრალური ბანკის საბჭოს წევრი **არჩილ მესტვირიშვილი** ამბობს, რომ ლარი იმაზე მეტად არის გაუფასურებული, ვიდრე ამას საგარეო მაკროეკონომიკური ფაქტორები განაპირობებს.

**„ექსპორტი იზრდება 12 პროცენტზე მეტით, იმპორტი 4.4%-ით არის შემცირებული პირველი რვა თვის განმავლობაში. ამ მხრივ სავალუტო ბაზარზე დადებითი ტენდენციაა. ფულადი გზავნილები დახლოებით 8 პროცენტით იზრდება, თუმცა ტურიზმის სტატისტიკა გამოვაქვეყნეთ რამდენიმე დღის წინათ და ივლისში შემცირება იყო 13 პროცენტი, აგვისტოში — 10 პროცენტი. ჯამურად მთელი წლის განმავლობაში ზრდა თითქმის არ იყო. ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ლარის კურსზე გავლენა მოახდინა.**

**ჩვენ სრული ინფორმაცია ჯერჯერობით არ გვაქვს. როდესაც გვექნება საგადამხდელო ბალანსი, ეს მოგვცემს მთლიან სურათს, მაგრამ უკვე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ დღევანდელი კურსი უფრო მეტად არის გაუფასურებული, ვიდრე საგარეო შოკი ამას მოასწავებდა“,** — განაცხადა „პირველი არხის“ ეთერში ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა.

მესტვირიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ეროვნული ბანკის მთავარი მანდატი ფასების სტაბილურობაა, რაც ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის აუცილებელი ფაქტორია. ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდა კი ინფლაციის საშუალოვადიან დინამიკაზეა დამოკიდებული, რაც ლარის კურსის გამო, დღეის მდგომარეობით, არ არის სასურველ დონეზე, ამიტომ ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებას გააგრძელებს.

**„ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის მთავარია ინფლაციის საშუალოვადიანი დინამიკა და კურსის არსებული დინამიკა ინფლაციაზე უარყოფით გავლენას ახდენს. უკვე დავიწყეთ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, ეს ჩვენი ძირითადი ინსტრუმენტია და ასე გავაგრძელებთ ნაბიჯ-ნაბიჯ. იძულებული ვართ, გავამკაცროთ მონეტარული პოლიტიკა. ეს, რა თქმა უნდა, გაცვლით კურსზე გავლენას იქონიებს, რადგან გაცვლითი კურსი არის ერთ-ერთი გადაცემის არხი“,** — დასძინა არჩილ მესტვირიშვილმა.

**ბექა დანელია**

# გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოები შეიქმნება



**„საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტით საოკუპაციო გამყოფი ზოლის (აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) მიმდებარე სოფლებში ახალი საწარმოები დაფინანსდება. პროექტს „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ განახორციელებს.**

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) პროექტის ფარგლებში სახელწოდებით, „ახალი საწარმოები გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში“, გრანტის სახით 500 000 აშშ დოლარსგამოჰყოფს, რომლითაც „სტარტაპ საქართველოს“ გამარჯვებულები დაფინანსდებიან. დამწყებ მეწარმეებს შანსი ეძლევათ საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ინოვაციურ სიახლეებზე ორიენტირებული ბიზნესები წამოიწყონ.

პროექტ „სტარტაპ საქართველოს“ მიერ გამოვლენილ გამარჯვებულებს, რომლებიც საკუთარ ბიზნეს საქმიანობას საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიმდებარედ აწარმოებენ, „USAID Zrda“ „საპარტნიორო ფონდისგან“ მიღებულ დაფინანსებას გრანტით გაუორმაგებს.

„საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია სიმბოლურად, ენგურის ხიდიდან 600 მეტრში მდებარე რუხის სავაჭრო ცენტრში შედგა. მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე გიორგი დანელიამ და „USAID Zrda“-ს ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა მოაწერეს, რომლის თანახმად, „საპარტნიორო ფონდი“ და „USAID Zrda“ საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ინვესტირებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობენ ხელს.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორმა პიტერ ვიბლერმა, „USAID Zrda“-ს ხელმძღვანელმა ქეთი ჭუმბურიძემ, ასევე „საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ გიორგი დანელიამ.

**„განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მეწარმეობის განვითარება, რაშიც დიდი წვლილი სახელმწიფომ უნდა შეიტანოს. რეგიონების განვითარება „საპარტნიორო ფონდის“ სტრატეგიული მიმართულებაა და ამ მხრივ, სწორედ პრიორიტეტულია გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლების ეკონომიკური გაძლიერება, ადგილობრივების დასაქმება და ახალგაზრდების გააქტიურება. სტარტაპ იდეების განხორციელებისთვის „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივი პროექტი დაფინანსების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. მოხარული ვარ, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ საქართველოში ამ მნიშვნელოვანი პროექტის განსახორციელებლად სწორედ ფონდის შვილობილი კომპანია „სტარტაპ საქართველო“ აირჩია“,** — განაცხადა გიორგი დანელიამ.

**„ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობასთან, „საპარტნირო ფონდთან“, „სტარტაპსაქართველოსთან“ პარტნიორობა. ჩვენ ყველა ერთად ვცდილობთ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების ეკონომიკურად გაძლიერებას, სამუშაო ადგილების შექმნას, და მათთვის შემოსავლების მდგრადობის უზრუნველყოფას. ამერიკის მთავრობა ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას“,** — განაცხადა პიტერ ვიბლერმა.

სტარტაპერებისთვის „საპარტნიორო ფონდისა“ და „USAID Zrda“-ს ერთობლივ პროექტში მონაწილეობისთვის განაცხადების მიღება „სტარტაპ საქართველოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე www.startup.gov.ge უკვე შესაძლებელია.

## მავთულხლართების გასწვრივ მცხოვრებ ოჯახებს მუდმივად ეხმარებიან

**სოფელ გუგუტიანთკარის მცხოვრებლების მიმართ გაცემული დაპირებების ნაწილის შესრულდა, ნაწილი კი, შესრულების პროცესშია,** — ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, სახელმწიფო მინისტრმა, ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა აქცია-გამოფენისკომენტირებისას, რომელიც დღეს პარლამენტთან გაიმართა.

მისი თქმით, მთავრობა ასრულებს საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის მიმართ გაცემულ დაპირებებს.

**„დაპირებები გაიცა და შესრულდა. შესაძლებელია, აქციის მონაწილეებს არ ჰქონდეთ ინფორმაცია, რომ მათ შორის ის კონკრეტული პირობები, რომელიც გუგუტიანთკარის მცხოვრებლების მიმართ გაიცა, ეს პირობები რა თქმა უნდა, შესრულდა და ნაწილი შესრულების პროცესშია, რადგან ცოტა გრძელვადიან სოციალურ უზრუნველყოფასაც უკავშირდება. არა მარტო გუგუტიანთკარში, ჩვენ ვსაუბრობთ მავთულხლართების გასწვრივ დაახლოებით 20 ათას ოჯახზე, რომელიც მუდმივად, 2013 წლიდან სხვადასხვა სახის დახმარებას იღებს და მათ საჭიროებებზე მუდმივი რეაგირება ხდება“,** — აღნიშნა ციხელაშვილმა.

# სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მოსახლეობამდე სწორად ვერ მივიდა



**„რა თქმა უნდა ვითარება ქვეყანაში მძიმეა და სიღარიბის პრობლემა არსებობს. ლარის კურსის არამდგრადობა, ბუნებრივია, ძალიან დიდი უარყოფითი მოვლენაა და გამოსწორებას საჭიროებს, მაგრამ, ყველაფერს აქვს თავისი ობიექტური ან სუბიექტური მიზეზები. თუ ობიექტური სჭარბობს სუბიექტურს, მაშინ უნდა გაგრძელდეს მუშაობა იმ კეთილდღეობისათვის რაც ქვეყნას სჭირდება“,** — ასე აფასებს NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევას VIII მოწვევის პარლამენტარი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი **ზურაბ ტყემალაძე**.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ყოფილი თამჯდომარე ამბობს, რომ დღეს მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდეს. „კომერსანტთან“ საუბარში ყოფილი დეპუტატი ამბობს იმასაც, რომ NDI-ის კვლევები ძალიან აცდენილია რეალობას, რასაც მისი თქმით, ყოველი არჩევნები ამტკიცებს. მედიაჰოლდინგის კითხვაზე გრძნობს თუ არა პირად პასუხისმგებლობას ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე, პოლიტიკოსი უპასუხებს:

„რა თქმა უნდა იმ პერიოდში როცა ვიყავი ხელისუფლებაში თუ კი რამეზე უნდა ვაგოთ პასუხის და ავიღოთ პასუხისმგებლობა ყველაფერზე ვიღებ პასუხისმგებლობას. უარყოფითზეც და დადებითზეც“.

**— 2012 ქართული ოცნების დაპირება იყო სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა, რატომ ვერ მიიღო მოსახლეობამ 7 წლის წინ დაპირებული სწრაფი კეთილდღეობა?**

— სწრაფად არაფერი არ ხდება. რა თქმა უნდა ძალიან დიდი სხვაობაა 2012 წელსა და 2016 შორის ასევე 2019 წელს შორის, მაგრამ, საზოგადოება იმიტომ უნდა იყოს მომთხოვნი, რომ ქვეყნაში უფრო კარგი მდგომარეობა იყოს. აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხოვნა ყოველთვის სჭარბობს შესაძლებლობებს. დამერწმუნეთ ბევრი რამ გაკეთდა ქვეყანაში სოციალური, სოფლის მეურნეობის ინვესტიციების, ჯანდაცვის, განათლების, ტურიზმის განვითარების მიმართულებებით და როგორც ხედავთ ეს არ არის საკმარის და კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

**— თქვენ როგორც ერთმა დეპუტატმა, რა გააკეთეთ მდგომარეობის შესაცვლელად?**

— დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი, ამ მიმართულებით ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. საკანონმდებლო ინიციატივები იყო მიღებული მეწარმეების წახალისების მხრივ, ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, ექსპორტის წახალისების კუთხით, იმპორტის ჩანაცვლების მიმართულებით. ძალიან ბევრი კანონი იქნა მიღებული და ძალიან ბევრი პრაქტიკული ქმედებებიც იყო გადადგმული ჩემს პერიოდში. თუმცა, ცხოვრება ვითარდება თუმცა, ბენებრივია დღევანდელი მიღწევა არ არის საკმარისი და ხვალ ორჯერ მეტი უნდა გაკეთდეს,ზეგ — სამჯერ მეტი. ქვეყანას ვერ მაჩვენებთ სადაც ხალხი მთავრობით კმაყოფილია. რატომ? იმიტომ, რომ უფრო მეტი მოთხოვნილებაა და მოსახლეობა უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს მთავრობას.

* * *



— NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევას არ ენდობა „ქართული ოცნების“ კიდევ ერთი ყოფილი წევრი და თიანეთის მერი **თამაზ მეჭიაური,** რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, „პროვინციაშია“ ჩაკეტილი და ზოგადი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

**— თქვენ თუ გრძნობთ პირად პასუხისმგებლობას ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე?**

— რადგანაც ვიყავი „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი, რა თქმა უნდა ვგრძნობ პასუხისმგებლობას, თუმცა, არ მგონია რომ კვლევა რეალობას ზუსტად ასახავდეს და მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილო იყოს ჩემი საქმიანობით.

**— 2012 წელს ქართული ოცნების დაპირება იყო სწრაფი განვითარება და კეთილდღეობა, რატომ ვერ მიიღო მოსახლეობამ 7 წლის წინ დაპირებული სწრაფი კეთილდღეობა?**

— ე.წ. კოჰაბიტაცია იყო ერთ-ერთი მთავარი მუხრუჭი, რომელმაც მმართველი გუნდის რეფორმებს ხელი შეუშალა იმიტომ, რომ კოჰაბიტაციის შედეგად ძველი გუნდი ისევ აგრძელებდა საბოტაჟის რეჟიმში მუშაობას. ზოგიერთი მათგანი პატიოსნად აგრძელებდა მუშაობას, ზოგიერთი მათგანი კი, არ გამოვრიცხავ, რომ რეფორმების გატარებას ხელს უშლიდა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხები იყო გამოყოფილი და ახლაც დიდი თანხები იხარჯება იგივე ინფრასტრუქტურაში, ჯანდაცვაში, სოციალურ პროექტებში. თუმცა, ეტყობა, ამ ყველაფრის სწორად მიტანა მოსახლეობამდე არ ხდება, როგორც პირდაპირი ასევე გადატანითი მნიშვნელობით.

**— თქვენ როგორც ერთმა დეპუტატმა, რა გააკეთეთ მდგომარეობის შესაცვლელად?**

— ყოველთვის ვცდილობდით მოსახლეობის აზრი გათვალისწინებას. გავდიოდით რეგიონებში, სადაც გვქონდა განხილვები და მაქსიმალურად ვცდილობდით გაგვეთვალისწინებინა მათი ინიციატივები ბიუჯეტის დამტკიცების დროს. რამდენად სწორად ხდებოდა იმ გამოყოფილი თანხების საქმეში ჩადება და რეალიზება ეს უკვე ცალკე თემაა და ამას აუდიტის სამსახური ამოწმებდა და, როგორც მახსოვს დარღვევებსაც აფიქსირებდა. რა თქმა უნდა,ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, რაღაც, ალბათ, არ გაკეთდა და ვიღაცებმა, რბილად რომ ვთქვათ, ხელი არ შეუწყვეს თანხების მიზნობრივად ხარჯვას. სხვადასხვა პიროვნებების მიერ ბიუჯეტის თანხის ხარჯვა სხვადასხვანაირად ხდება. ამაზე საგამოძიებო ორგანოებმა უფრო მეტად უნდა იმუშაონ.

* * *

— საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე კომერსანტთან თიანეთში არსებულ ვითარებაზე საუბრობს:

**— თიანეთში, რომ ვთქვა აყვავებულია ყველაფერი-მეთქი, მოგატყუებთ. ჩვენთან ყველაზე მეტად მკურნალობის პრობლემა აქვს მოსახლეობას მიუხედად იმისა, რომ დიდი ნაწილი ფინანსდება საყოველთაო დაზღვევით. თანადაფინანსებისთვის დარჩენილი თანხები კი მაინც იმდენად დიდია მოსახლეობისთვის, რომ გადახდა უჭირთ. რა თქმა უნდა, ჩვენც ვეხმარებით ჩვენი ბიუჯეტით, მაგრამ მერიის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. გვაქვს დასაქმების პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება და ძირითადად ადგილობრივებს ასაქმებენ, ყველას არ შეუძლია ფიზიკური მუშაობა. დიდია მიგრაცია, საზღვარგარეთაა ბევრი წასული, ეს ერთის მხრივ ცუდია, მაგრამ, მეორეს მხრივ, მძიმე სოციალურ ფონს ამსუბუქებს.**

**ბაჩო ადამია**

# ღია კარის მტვრევა

**ის, რაც ჩემს ქვეყანას განსაცდელს უქმნის — გნებავთ პოლიტიკური, გნებავთ სოციალური, გნებავთ ეკონომიკური პრობლემებით, მე, როგორც ერთ რიგით მოქალაქეს, ძალიან მაწუხებს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვიჩაგრები და ჩემთან ერთად ბევრი, კარგი, პატიოსანი და ინტელექტუალი ადამიანიც იჩაგრება... არა, შექმნილი ვითარება, ზოგადად, აფერხებს ქართველი ერის წინსვლასა და განვითარებას ყველა დარგში და ყველა მიმართულებით.**

ჯერჯერობით ასეა, სატრაბახო არაფერი გვაქვს, მაგრამ პრობლემებისაგან გამოსავლისა და თავის დაღწევის ძიების ნაცვალად სიტუაციისა და მდგომარეობის აღქმა არ არის ჯანსაღი, განსაკუთრებით იმ პირებისგან, რომლებმაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დატოვეს სამთავრობო სკამები და დიდი ვაივაგლახით გადააბარეს 2012 წლის არჩევნებში გამარჯვებულებს, თუმცა ამ გამარჯვებულებისგანაც ხალხმა დიდი სიკეთე ვერ მიიღო. მაგრამ გულსატკენი და შეურაცხმყოფელი ის არის, რომ თავის დროზე თავლაფდასხმულებმა ახლა ანგელოზებად წარმოგვიდგინეს თავი და ისე ამუნათებენ დღევანდელ მთავრობას, ხშირად ჩვენ, მათ შემხედვარეთ, სირცხვილის გრძნობაც კი დაგვრევს ხელს, ძნელია, მშვიდად მოისმინო მათი აზრები, შეხედულებები და უყურო იმ ვითომ პოლიტშოუებს, პირდაპირი ეთერით რომ გადმოიცემა...

არსად არ ჩანს გულისტკივილი, ფიქრი, დარდი და ზრუნვა სამშობლოსა და ხალხზე. კი, ზოგჯერ გვაჩვენებენ ეკონომიკურად შეჭირვებულ ოჯახებს, მრავალშვილიანების დუხჭირი ცხოვრების სურათებს, მაგრამ უძარღვოდ და უსულგულოდ! აბა, სხვაგვარად როგორ იქნება, როცა სამიათას ლარზე მეტი ხელფასიანი გოგო-ბიჭები კამერით მიადგებიან და ინტერვიუებს ჩამოართმევენ დაძონძილ და მშიერ-მწყურვალ ხალხს.

განა ჩვენ არ ვიცით ჩვენი ქვეყნის უკიდურესად გაღარიბებული მოსახლეობის, დაცარიელებული სოფლებისა და რაიონების შესახებ? მაგრამ არ ვიცით, ვინ რას აკეთებს მათი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ან შესამსუბუქებლად მაინც? ან, ვინ რას გააკეთებს. ის კი ნამდვილად ვიცით, რომ თავად ისე მდიდრულად ცხოვრობენ, რომ კომუნისტებს არც დაესიზმრებოდათ. ეჰ, რა დროს კომუნისტებია, კიდევ კარგი რომ დროზე მოვიშორეთ, მაგრამ სამაგიეროდ რა შევქმენით, რა გავაკეთეთ, მოვიყვანეთ უკეთესი დრო და ცხოვრება?

ეკონომიკური სივიწროვისა და სოციალური აშლილობებისგან გაღარიბებულია კულტურა და განათლება. სიღარიბემ, პურის ფულის ძნელად მოპოვების შანსმა, ანუ უმუშევრობამ გაგვაღარიბა არა მარტო მატერიალურად, არამედ სულიერადაც. ასეთი სიღარიბე ყველგან და ყველაფერში ჩანს, მაგრამ ახლა მინდა ვისაუბრო ადამიანებზე, რომელთაც პრეტენზია აქვთ, რომ დეპუტატები გახდნენ, როგორმე პარლამენტში მოიპოვონ ადგილები, ქვეყანა მართონ. სამწუხაროდ, თავიანთი ქცევებით და ქმედებებით ისინი ვერ იმსახურებენ ვერავითარ ნდობას, პატივისცემაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ასე ხდება არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ყველა დისციპლინაში, ყველა მიმართულებაში, რომელ კულტურაზეა ლაპარაკი? კულტურის ერთ-ერთი მთავარი არტერია და მკვებავი ხომ ზრდილობაა? აბა მითხარით, ტყუილებით და უხეში სიტყვებით საუბარი სადაური კულტურაა. კულტურული საზოგადოებისათვის შეუფერებელი ენით, არასახარბიელო ამბებით და ქრონიკით ივსება ჩვენი თანამედროვეობა და არავინ არ ფიქრობს იმაზე, რომ ასეთი ისტორიით თავსაც ვირცხვენთ და ვარცხვენთ ჩვენს მომავალ თაობებსაც, რომელთაც თავიანთი ახლო წინაპართა საქმიანობით მაინცდამაინც ბევრი არაფერი ექნებათ საამაყო. აი, ასე. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

**საქართველომ, სამიოდე თვის წინათ, ოც ივნისს, ერთი, მძიმე დარტყმა „იგემა“, ვერ ვიტყვი მოიგერიამეთქი, რადგანაც იმ ღამის ცეცხლის კვამლი დღესაც თვალებს უზრმავეზს ბევრს... იმ ღამით პარლამენტის შენობასთან, ვიღაც რუსი მოხელის ჩამოსვლასთან დაკავშირებით (ეს ვიღაცა შემდგომ პარლამენტში, პრემიერის სკამზე დაბრძანებული იხილეს ჩვენდა გასაკვირად. იგი რომელიღაც საერთაშორისო ღონისძიებას ატარებდა) შეურაცხყოფილმა ხალხმა, უფრო ახალგაზრდებმა საპროტესტო აქცია გამართეს, რაც „შესანიშნავად“ გამოიყენეს ბნელმა ძალებმა. ჩვენ ასე დავარქვათ პირობითად, რა ვქნა, რომ სხვა სიტყვა ვერ მოვნახე მათ შესაფასებლად, რადგანაც ვერ დავინახე მათში ის სინათლე, რომელიც კულტურას, განათლებას, ცოდნას მოაქვს და, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთის მოტანა შეუძლია.**

ეს ჩვენი „ღირსეული, პოლიტიკას მიტმასნილი ადამიანები („ბნელი ძალები“) ყოველთვის მზად არიან, შემთხვევა ხელიდან არ გაუშვან და სამთავრობო ადგილები კვლავ მოიპოვონ, ახლა უკვე ძალისმიერი ხერხებით, ბუნტით და შტურმით. დიდ გამსახურდიას კარგად აქვს ნათქვამი — უნიჭოებს თავხედობის განსაკუთრებული ნიჭი აქვთო. სხვათა შორის, მათ ინტელიგენციის წარმომადგენლებიც კი შეუერთდნენ, ხომ გითხარით, — ადამიანში ადამიანობას ვერავითარი ცოდნა და განათლება ვერ დანერგავს (დანერგილს კი განავითარებს, ნამდვილად!) განათლება ერთია, მაგრამ სულ სხვაა ადამიანობა! განსაკუთრებით დამამახსოვრდა ყველასთვის ცნობილი ერთი ახალგაზრდა მწერალი. თავისი სიტყვით როგორ აღაგზნებდა მომიტინგეებს, წინ პარლამენტისკენო. ახლა კი ყველა ყველაფერს უარყოფს, ბუნტი არ იყოო. ყველაფერ ამას ტელევიზიით, პირდაპირი გადაცემით უყურებდა მთელი საქართველო და ალბათ, არა მარტო საქართველო... მაგრამ შემდგომში იმ ახალგაზრდის მავნებლური სიტყვა არავის არ გახსენებია (კიდევ კარგი!). იმ საღამოს კი, რაც მომიტინგეებმა განახორციელეს, — იყო პარტლამენტზე ნამდვილი შეტევა.. ვისაც არ სჯერა, რა ვქნათ ახლა. ერთი ნაცნობი მყავს, ზვიად გამსახურდიას სიკვდილიც არ სჯერა (თურმე ასეთები, სხვებიც ყოფილან...), ეს ყველაფერი იმათთვის, ვისაც ჩვენი ქვეყნის მომავალი და მისი დემოკრატიული გზით განვითარება აინტერესებს, სატკივარი და სადარდელი უფროა, ვიდრე სხვა რამ. თავის დროზე დემონსტრაციებიც საჭიროა და უფრო მეტიც, მაგრამ — თავის დროზე! ეს თავის დრო ვინც არ იცის, უნდა ისწავლოს. ვდარდობ და ვწუხვარ ასეთ უადგილო მოვლენებზე. სხვათა შორის მინდა ისიც ვთქვა, რომ 20 ივნისის ღამის მოვლენები, რაც იყო ის, უბედურება თუ ცუდი მოვლენა, ჩვენი ხალხის მღელვარე და ფეთქებადი ხასიათის შედეგია და, მე პირადად ამ ღამის სათაურში არავითარი რუსი მოხელის გვარს არ გავაჭაჭანებ, ჩვენ შეგვეშალა და ჩვენ ვაგოთ პასუხი ჩვენი ხალხისა და ისტორიის წინაშე. რეალობას თვალი გავუსწოროთ (როგორც იტყვიან) და ვუწოდოთ მას ის, რაც იყო — „პარლამენტის შტურმით აღების მცდელობა“.



## ორლობის დედაკაცებს პოლიტიკოსობა უნდათ!

საქართველოს და ქართველ ხალხს ახლა ბევრი რამ აკლია, მაგრამ არა უწყვეტი დემონსტრაციები. არადა, ახლა მკლავების დაკაპიწების, შრომის, თანადგომის დროა. მინდა გითხრათ, რომ ამ წერილის დაწერა უფრო სხვა თემამ მიბიძგა, — ჩვენი პოლიტიკოსების ურთიერთდამოკიდებულების კულტურამ, ზრდილობამ... უფრო სწორად, ამ მახასაიათებლების არქონამ. როდესაც ოპოზიციის რამდენიმე პარტიამ ახლად დანიშნული პრემიერ-მინისტრი მიიწვია, ალბათ მათთვის და ყველასათვის საინტერესო შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, ტელევიზიის გადაცემას ვადევნებდი თვალს, ვისმენდი, მაგრამ რას ვისმენდი! სოფლის ენაგაწრთვნილი დედაკაცების ორლობეებთან საუბარი თუ გვსმენია ან გვინახავს სადმე, ძველ კინოსურათებში მაინც... განსაკუთრებით ქალი პოლიტიკოსები აქტივობდნენ. რა იყო ეს! შემრცხვა, სად იყო აქ შეკითხვები, ან ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებისადმი ჯანსაღი ინტერესი. მაპატიეთ, ჩემო მკითხველო, მაგრამ ეს არ იყო შეხვედრა. ეს იყო ბრბოს მიერ „გამოჭერილ ბრალდებულზე“ თავდასხმა. ნუთუ ასეთი უნდა იყოს პოლიტიკური ენა? ვინც ის გადაცემა ნახა, არა მგონია, არ დამეთანხმოს. მწვავე შეკითხვები გამიგია, მაგრამ ადამიანის ლანძღვა და შეურაცხყოფა, ჭორები და სკანდალები? ერთი შეძახილი აკლდათ — დასცხეთ ბიჭებოო (ქალებოო!), და ნამდვილად მივიღებდით ახალ, ორიგინალურ, „სადარბაზო შტურმს“. რაც შეეხება „ჩვენს“ გაჭიანურებული დემონსტრაციის მონაწილეებს, პარლამენტის შენობის წინ დგომას, მე რომ ვინმემ მკითხოს, თუ იმათ ნამდვილად პატრიოტული გრძნობა ამოძრავებთ, ვიტყოდი, რომ გაღებული კარის მტვრევას უფრო ჰგავს ახლა მათი ასეთი გამოსვლები. ამ „რაზმმა“, თუ ნებისყოფა, დრო და სურვილი აქვს, სოფელ-სოფელ რომ იაროს, იქაურ მოსახლეობას დაეხმაროს მოსავლის აღებაში, ან აქ ჩვენივე ხალხის შემოწირულობებით მოგროვილი სამრეწველო თუ სასურსათო ნაწარმი ჩაიტანოს, ქველმოქმედება გასწიოს, გვერდში დაუდგეს და სოფლელთა (და საერთოდ, გაჭირვებულთა) ჭირ-ვარამი გაიზიაროს, ან მსგავსი რამე მოიფიქროს და შინაარსიანი და კეთილი საქმე აკეთოს — აჯობებდა, მაგრამ მეკითხება ვინმე რამეს?! არა. და ეჭვიც მაქვს რატომ... მათ ხომ პოლიტიკოსობა უნდათ, სარფიანი საქმეა!



**გულნარა სტურუა.**

## ანალიტიკოსი გია აბაშიძე „ლელოს“ დამფუძნებელს მამუკა ხაზარაძეს სიცრუეში ადანაშაულებს

**როგორც გია აბაშიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საქმე ეხება მამუკა ხაზარაძის განცხადებას, რომ ანაკლიის პორტის ინვესტორი ბრიტანული კომპანია „მერიდიან კაპიტალია“, რომელიც ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უარით გაისტუმრა.**

აბაშიძის თქმით, ამ კომპანიის უკან ყაზახი ინვესტორები დგანან და მათ შორის ერთ-ერთი რუსეთის ტულის ოლქის გუბერნატორთან თანამშრომლობს, ასევე პუტინთან დაახლოებული პირია. ანალიტიკოსი მთავრობას ამ კომპანიის საკითხის საფუძვლიანად მოკვლევას სთხოვს.



**„მერიდიან კაპიტალ ლიმიტედი“ არის საერთაშორისო კომპანია. უმეტესწილად მისი დამფუძნებლები არიან ყაზახი ბიზნესმენები. ერთ-ერთი დამფუძნებელი ევგენი ფელდი, ირკვევა, რომ არის დაკავშირებული ალექსეი დიუმინთან, რომელიც გახლავთ ტულის ოლქის გუბერნატორი რუსეთში, პუტინის ყოფილი პირადი მცველი, რომელსაც ანალიტიკური ცენტრები მოიაზრებენ როგორც მის მემკვიდრეს პრეზიდენტად. იბადება კითხვა, როდესაც „მედასავლეთედ“ გვევლინება ხაზარაძე, საზოგადოებას სთავაზობს ასეთ ურცხვ ტყუილს, რომ ესენი არიან ბრიტანელი ინვესტორები, სინამდვილეში ესენი არიან ყაზახურ-რუსული ინვესტორები. როგორ აპირებს პოლიტიკა გააგრძელოს ამდენი ტყუილებით და ამდენი სიყალბით? ეს დიდი ალბათობით არის რუსული შავი ფულის სარეცხი მანქანა და ამის შემოთავაზება იმ ფონზე, როდესაც ამერიკის სახელმწიფო მდივანი პომპეო ამბობს, რომ ანაკლიის პორტში არანაირად არ უნდა იყოს რუსული და ჩინური ბიზნესინტერესები, ამის შემოსაღება არის უპასუხისმგებლობა“,** — განაცხადა გია აბაშიძემ.

# სამეგრელო, როგორც ტურიზმის სახე

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ტურისტები მომსახურების დაბალ დონეს უჩივიან

**დაახლოებით 2 თვის წინათ საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა რადიო „კომერსანტის“ გადაცემა „მთავარი ფაქტორში“ განაცხადა, რომ სამეგრელო შეიძლება გარდაიქმნას ჩვენი ტურიზმის სახედ“. მან აღნიშნა, რომ 2025 წლისთვის არსებული სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს უნდა ემასპინძლა 11 მილიონი საერთაშორისო მოგზაურისთვის. „სამეგრელოში ვიყავით და დავრწმუნდით, თუ რა დიდი პოტენციალი აქვს ამ რეგიონს. სამეგრელო შეიძლება გარდაიქმნას ჩვენი ტურიზმის სახედ,“ — აღნიშნა მარიამ ქვრივიშვილმა.**

ევროკავშირის პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება“ — მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რამაც საქართველოს 5 სამიზნე რეგიონი და თბილისი მოიცვა, კვლევა შეეხო მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევებსა და განვითარების პერსპექტივებს საქართველოს რეგიონებში.

**„კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში მაღალია სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პოტენციალი, რასაც განაპირობებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტულად საინტერესო ადგილები და მარშრუტები. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი დაინტერესებულია ამ სფეროს განვითარებით და მისივე შესაძლებლობის ფარგლებში გადადგმული აქვს კონკრეტული ნაბიჯები სფეროს განვითარების ხელშეწყობისთვის. თუმცა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების პროცესი ძალზე მდორედ მიმდინარეობს“,** - ნათქვამია დოკუმენტში.



რაც შეეხება უცხოელ ტურისტებს, ისინი ძირითადად ეკოტურიზმით არიან დაინტერესებული და ამიტომაც მიემართებიან მაღალმთიან სათავგადასავლო ტურისტულ მარშრუტებზე, როგორიცაა ტობავარჩხილი, მდ.ინწრას სათავე და მთელი ხეობა, ყვირასმთა, წიფურონა (წიფლნარი), კერნახონა და სხვა.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტურიზმის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუში ირკვევა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არ არის არც ერთი რეგისტრირებული ტურისტული კომპანია ან ფირმა, რომელიც ორგანიზებას გაუწევს, როგორც მარშრუტების დაგეგმვას, ასევე ტურისტებისათვის სრულფასოვანი სერვისის შეთავაზებას. ამის მიზეზად კი სახელდება რეკლამირების პრობლემა.

კვლევის შედეგად გამოიკითხა 40 შიდა და გარე ტურისტი (მუნიციპალიტეტში მცხოვრები და არამცხოვრები).

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს, გამომდინარე ტურისტული ადგილების სიმრავლიდან, აქვს ტურიზმის განვითარების პოტენციალი. თუმცა, არსებობს დაბრკოლებები, რომელთა დაძლევაც უნდა მოხდეს. ტურისტები უჩივიან მომსახურების დაბალ დონეს როგორც უშუალოდ სერვისის მიმწოდებლების მხრიდან, ასევე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. გარდა ამისა, ისურვებდნენ გარკვეული სერვისების (მაგ. საოჯახო სასტუმროების) მეტად ხელმისაწვდომობას. სერვისის მიმწოდებლებს აქვთ დაბალი კვალიფიკაცია საქმიანობაში და არ ფლობენ ინფორმაციას თანამედროვე სტანდარტებისა და რეგულაციების შესახებ.

კვლევის შედეგად ძირითადი რეკომენდაციები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიმართ მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ჩატარდეს ადგილზე არსებული საჭიროებების კვლევა; შემუშავდეს სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ადგილობრივი ერთიანი სტრატეგია; შემუშავდეს სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმა; მუნიციპალიტეტი ჩაერთოს სათავგადასავლო ტურიზმის პოპულარიზაციის საკითხში, მონაწილეობა მიიღოს ტურისტული ცენტრების გახსნაში, დააინტერესოს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, რათა განახორციელონ ინვესტიციები ამ სფეროში.

კვლევაში ყურადღება გამახვილებულია ასევე ანაკლიისა და განმუხურის აგროტურიზმზე, რომლის ფარგლებში ინტერვიუები აიღეს პირებისგან, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული რეგიონში აგროტურიზმის სფეროსთან.

აგროტურიზმი გულისხმობს ვიზიტორის მიღებასა და განთავსებას ფერმერულ მეურნეობაში, ნატურალური, ადგილზე დამზადებული პროდუქტით გამასპინძლებას.

როგორც კვლევამ აჩვენა ანაკლია-განმუხურს აგროტურიზმის დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას აკლია შესაბამისი ტურისტული სერვისების მიწოდების გამოცდილება და აგროტურიზმთან დაკავშირებით მათი ზოგადი ცოდნა მწირია. აღსანიშნავია, რომ შიდა ტურისტებს ძირითადად ზღვა იზიდავთ, ხოლო უცხოელი ტურისტები მეტად არიან დაინტერესებული აგროტურიზმით, შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივმა მოსახლეობამ მიიღოს მეტი ინფორმაცია ამ სფეროსთან დაკავშირებით — ნათქვამია კვლევაში.

აქ ტურისტების უმრავლესობას შეადგენენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ადამიანები, რაც განპირობებულია ბოლო წლებში ამ ზონაში გამართული მუსიკალური ფესტივალებით.

საჭიროა აქტიური მუშაობა ტურიზმის სფეროში აგროტურიზმის მიმართულების განვითარების კუთხით, რათა რეგიონი მიმზიდველი იყოს ტურისტებისთვის არამარტო ზღვის სეზონზე, არამედ წლის სხვა პერიოდშიც.

**მარიამ მორგოშია**

# მივხედოთ უშგულს!!!

**უშგულში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული უკანონო თანამედროვე მშენებლობები მნიშვნელოვნად ხელყოფს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გარემოსა და სივრცით-გეგმარებით ავთენტურობას, შესაბამისად მის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღება, — ამის შესახებ ჩაჟაშის (უშგული, ზემო სვანეთი) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით „ICOMOS საქართველოს“ განცხადებაშია აღნიშნული.**

განცხადების თანახმად, ჩაჟაშის ისტორიულ ნაგებობებზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება შემუშავებული პროექტის დარღვევით. მთელ რიგ შემთხვევებში გამოყენებულია არატრადიციული, არათავსებადი მასალები და ტექნოლოგიები (როგორიცაა ცემენტის დუღაბი, გადახურვებში რუბეროიდის ფენილი, გადახურვის გადაკერებული ძელები და ა.შ.). რიგ შემთხვევებში, იკვეთება შემსრულებელთა მხრიდან შესაბამისი უნარ-ჩვევების არცოდნა (ფიქალის გადახურვის მოწყობა და აშ.). სახეზეა საავტორო ზედამხედველობის არარსებობის და არასაკმარისი მონიტორინგის შედეგები.



**„მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ტრადიციულ სამშენებლო მასალასთან წვდომის საკითხი დასმულია მთავრობის წინაშე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან და ჯერაც არ არის გადაწყვეტილი; დამაფიქრებელია ფაქტები, რომლებიც ავლენენ კანონის არაღსრულების ფაქტიურად წესად ქცევას. მთელ რიგ შემთხვევებში, საქართველოს ეროვნულ სააგენტოს გაფრთხილება აქვს მიცემული მეპატრონისთვის, ან სასამართლოში აქვს საქმე გადაცემული, თუმცა კანონდარღვევები და უკანონო მშენებლობების აღკვეთა მაინც არ ხდება.**

**საგანგაშოა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ისტორიული გარემოსთვის შეუფერებელი სამშენებლო სამუშაოების უნებართვოდ განხორციელების, თუ რიგ შემთხვევებში, ასეთ სამუშაოებზე ნებართვის გაცემაზე დაჟინებული მოთხოვნის ფაქტების სიმრავლე, ვინაიდან ეს ნათლად აჩვენებს მათ გაუთვითცნობიერებულობას, როგორც ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის ღირებულებების, ისე ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის სტატუსის დაკარგვის რისკებთან დაკავშირებით“,** — ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, „ICOMOS საქართველოს“ შეფასებით, უშგულის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის გარშემო შექმნილი ვითარება სიღრმისეულად უკავშირდება ძეგლის მართვის სისტემის პრობლემებს. ორგანიზაციის განცხადებით, ეს პრობლემა უკვე მრავალი წელია დგას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სექტორის წინაშე და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაშიც.

# სოფლის ახდენილი ოცნება

**ასრულდა წალკის მუნიციპალიტეტის ძირძველ ბერძნული სოფელ ბეშთაშენის რამდენიმე თაობის მცხოვრებთა საუკუნოვანი ოცნება — ცენტრალური მაგისტრალიდან (თბილისი — წალკა) სოფელ ბეშთაშენამდე დააგეს ბეტონის მყარი საფარი.**

გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ჩვენი მოსახლეობის გახარებისთვის. მადლობა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ქალბატონ მაია ცქიტიშვილს და მის მოადგილეს, ბ-ნ ილია ბეგაშვილს, წალკის მაჟორიტარ დეპუტატს, ბ-ნ კახა ოქრიაშვილს, ქვემო ქართლის გუბერნატორს, ბ-ნ შოთა რეხვიაშვილსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ეს გზა მათი საერთო ძალისხმევით და სოფლისადმი გამორჩეული ყურადღებით მოწესრიგდა. ამ სოფელში გვერდიგვერდ მეგობრულად ცხოვრობენ ბერძნები, ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები... ყველას თანაბრად გვახარებს ჩვენი სოფლის ამ ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის მოგვარება.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

**ბეშთაშენის მცხოვრებთა სახელით:**
**საჯარო სკოლის დირექტორი**
**ბეჟან ვაშაყმაძე,**
**წალკის მერიის წარმომადგენელი ბეშთაშენის თემში**
**ალბერტ იონიდი,**
**მექანიზატორი**
**სამველ გალუსტიანი,**
**ფერმერი**
**ჯემალ ჰუსეინოვი**

# ქუთაისის აეროპორტიდან აბასთუმნამდე მგზავრობის დრო საათნახევრით შემცირდება

**ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის, ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის 6 კმ-იანი მონაკვეთის (კმ75-კმ81) რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია მიმდინარეობს.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისთვის მიწისა და გეოდეზიური სამუშაოები მიმდინარეობს. მათივე ცნობით, სამუშაოების ღირებულება 12 888 888 ლარია.

„ბაღდათი-აბასთუმნის გზის რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურების დონესა და უსაფრთხოებას, შეამცირებს სამგზავრო მანძილსა და დროს. პროექტის დასრულების შემდეგ, ქუთაისის აეროპორტიდან აბასთუმნამდე მგზავრობის დრო საათნახევრით შემცირდება, რაც რეგიონის სოციალ-ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“, — აცხადებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტში. უწყების ცნობით, ბაღდათი-აბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის საერთო სიგრძე 61,5 კმ-ია. პროექტი 2018 წელს დაიწყო და მისი დასრულება 2022 წელს იგეგმება.

# 50 მილიონი – აჭარაში წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად

**აჭარის დაბებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოსაწყობად 50 მილიონი ევრო დაიხარჯება. პროექტი საქართველოს მთავრობის, გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის და ევროკავშირის ერთობლივი თანამშრომლობით დაიწყო.**

პროექტის ფარგლებში ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოს, შუახევის და ქედის მუნიციპალიტეტებში თანამედროვე სტანდარტების წყლისა და წყალარინების სისტემა მოეწყობა.

გუშინ ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც ამ მიმართულებით სპეციალური პროგრამების შემუშავებას ითვალისწინებს. პროექტზე ცნობილი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიები – MACS და Fichtner იმუშავებენ. კომპანიებთან ხელშეკრულება „აჭარის წყლის ალიანსმა“ ოფიციალურად გააფორმა



კონსულტანტ კომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აჭარის მუნიციპალიტეტებში წყლისა და კანალიზაციის (გამწმენდი ნაგებობების ჩათვლით) სისტემების პროექტირება დაიწყება, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდეგ კი გამოცხადდება ტენდერი ამ სისტემების მშენებლობაზე.

# კარგ ტაფაზე – ცუდი ზეთი!



**2020 წლის 1 იანვრიდან საქართველოში იმპორტირებული დიზელის საწვავის ხარისხი „ევრო 5“-ის ტიპის სტანდარტის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამ ეტაპზე კი ქვეყანაში დიზელის საწვავზე მოქმედი ხარისხობრივი ნორმები „ევრო 4“-ის სტანდარტს შეესაბამება. ამასთან, ყველაზე მსხვილი მომწოდებლის აზერბაიჯანის დიზელის საწვავი სწორედ „ევრო 4“-ის სტანდარტია და „სოკარი“ „ევრო 5“-ის ტიპის დიზელის საწვავის წარმოებას 2021 წლიდან გეგმავს.**

აქედან გამომდინარე, რეგულაციის იანვრიდან ამოქმედების შემთხვევაში 2020-21 წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან დიზელის საწვავის იმპორტი სრულად შეიზღუდება. მის ადგილს კი თითქმის სრულად დაიკავებს რუსეთი. ეს კიდევ ერთი საფრთხე იქნება, ისედაც ჩრდილოეთზე დიდწილად დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკისათვის. გარდა ამისა, ახალი წლიდან დაახლოებით 15 თეთრით გაძვირდება დიზელის საწვავი.

ამიტომაც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის მოთხოვნაა, გამოცხადდეს ერთწლიანი მორატორიუმი ადგილობრივ ბაზარზე „ევრო 4“-ის სტანდარტის დიზელის საწვავის გამოყენების თაობაზე. კავშირში ამბობენ, რომ ამოქმედდეს „ევრო-5“-ის სტანდარტი, თუმცა 1 წლის განმავლობაში დარჩეს „ევრო 4“-იც.

**„გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევების თანახმად, მიმდინარე ეტაპზე ქვეყანაში პრობლემას არ წარმოადგენს გოგირდის დიოქსიდის ($SO_2$) ჭარბი ოდენობა, ის მკვეთრად ჩამოუვარდება ზღვრულ ნიშნულს. „ევრო 4“-სა და „ევრო 5“-ს შორის განსხვავება სწორედაც გოგირდის შემცველობაში მდგომარეობს. შესაბამისად, ჩვენი ინიციატივა გახლავთ, რომ ძალაში დარჩეს მთავრობის გადაწყვეტილება „ევრო 5“-ის სტანდარტზე გადასვლის შესახებ და იმავდროულად გამოცხადდეს ერთწლიანი მორატორიუმი „ევრო 4“-ის სტანდარტის დიზელის საწვავის შემდგომი გამოყენების თაობაზე.**

ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს ერთი მხრივ იმას, რომ ქვეყანაში შემოვა აზერბაიჯანული საწვავი, რომელიც 15-20 თეთრით იაფია სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქტთან შედარებით. ასეთი ტიპის დიზელი გამოიყენება იმ პირთა მიერ, რომლებიც მონაწილეობენ ეკონომიკურ საქმიანობაში – გადაზიდვები, დისტრიბუცია, მშენებლობა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეთ წვდომა შედარებით იაფ პროდუქტზე“, – ამბობენ ნავთობიმპორტიორთა კავშირში.

ინიციატივას მხარს უჭერს ბიზნესომბუდსმენიც. **ირაკლი ლექვინაძის** აზრით, წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისია იმისათვის, რომ დაიწყოს განხილვები დიზელის საწვავზე ახალი ხარისხობრივი ნორმების ამოქმედების ვადის კორექტირებასთან დაკავშირებით.

**„დღესდღეობით 40%-ია ბაზარზე პროდუქტის წილი, რომელიც იმპორტირებულია აზერბაიჯანიდან და რეგულაციის 2020-დან ამოქმედებით იმპორტის ეს ნაწილი სრულად იზღუდება. არის ასევე შეფასებები, რომელიც უკავშირდება ემისიებს, ავტოპარკის ტექნიკურ მახასიათებლებს და ფასთა შორის სხვაობის საკითხები. ჩვენს აპარატს მხარდაჭერისთვის მომართა ნავთობიმპორტიორთა კავშირმა და კომპანია „სოკარმა“. ვამუშავებთ რეკომენდაციას, სადაც ავსახავთ კერძო სექტორის მოთხოვნისადმი ჩვენს მხარდაჭერას, რადგან ინფორმაცია, რომელიც ბიზნესისგან მოვისმინეთ, ქმნის საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ეს საკითხი მაღალ დონეზე იქნას განხილული. სრულად ვეთანხმებით ინიციატივას დიზელზე 1-წლიანი მორატორიუმის შემოღების შესახებ“,** – განაცხადა ლექვინაძემ.

პროფესორი **რატი აბულაძეც** მიიჩნევს, რომ არსებულ ვითარებაში, მორატორიუმი საუკეთესო გამოსავალია, რამდენადაც საკითხს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურობა და ერთიან პრიზმაში განხილვა აკლია.

**„ერთი მხრივ, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებაზე. სატრანსპორტო სფერო კი ვალდებულია, შექმნას მოცემულობა, სადაც სატრანსპორტო საშუალებების ძრავები შესაბამისობაში იყოს სტანდარტებთან და მესამე, ნავთობპროდუქტების ბაზრის წარმომადგენლები, ასევე ვალდებულნი არიან ამ მაღალი მოთხოვნის საწვავი შემოიტანონ. დღეს ზემოთ ჩამოთვლილი სამი კომპონენტი ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის, ამიტომ მიმაჩნია, რომ მორატორიუმი ოპტიმალური გამოსავალია.**

**საკითხს სახელმწიფოს მხრიდან კომპლექსურობა და ერთიან პრიზმაში განხილვა აკლია. ეს დახლოებით იგივეა, ახალთახალ კარგი ლითონისგან დამზადებულ ტაფაზე რომ ცუდი ზეთი დაასხა. ამით საკვები უკეთესი, რა თქმა უნდა, ვერ გახდება“,** – განაცხადა **ეკონომისტმა.**

**ეკა ბაქრაძე**

# სიტყვა – ბარაქიანი, საქმე – ტალახიანი

**ტექინსპექტირება, რომელიც თავდაპირველად ჰაერის დაბინძურების მიზეზით დაიწყო, ფაქტია, უშედეგო აღმოჩნდა. თითქმის ყველა საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ასევე მსუბუქი ავტომობილების ნაწილი დღესაც ისეთ შავ კვამლს უშვებს, რომ შეიძლება, 200-300 მეტრზე ვერაფერი გაარჩიოთ. რადიო „ფორტუნამ“ ამ თემაზე ვრცელი სტატია მოამზადა, სადაც სპეციალისტები ტექინსპექტირების რეფორმის ჩავარდნაზე პირდაპირ საუბრობენ.**




ცოტა ხნის წინათ კი ცნობილი გახდა, რომ გარემოს დაცვის სამინისტროში კონცეფციაზე მუშაობენ, რომელიც ქუჩაში მანქანების გაჩერებას, ადგილზე შემოწმებას და ნორმების შეუსაბამობის შემთხვევაში, მათ დაჯარიმებას ითვალისწინებს. ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით და გარემოს დაცვის სამინისტროს დავუკავშირდით. სამინისტროში ამ საკითხზე უშუალოდ მომუშავე მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს ვესაუბრეთ, რომელმაც გვითხრა, რომ კონცეფცია რეკომენდაციების საფუძველზე მუშავდება.

**ნელი კორკოტაძე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: „ერთობლივი საპილოტე პროექტი პატრულის ზედამხედველობით მოხდება, შევიძენთ სპეციალურ აპარატურას. ტექნიკის შესყიდვაზე უკვე დაიწყო ბაზრის კვლევა. საუბარია იმ ტექნიკაზე, რომლითაც გამონაბოლქვი უნდა გავზომოთ. ტექინსპექტირება მუშაობს, მაგრამ ვხედავთ, რომ მანქანები ქუჩაში მაინც ბოლს უშვებენ. პირველ ეტაპზე კონტროლის დაწყების საფუძველი იქნება, როცა დავინახავთ ვიზუალურად, რომ მანქანა ბოლს უშვებს, შემდეგ უკვე შეიძლება შერჩევითი წესით იყოს. 2020 წლიდან უკვე საპილოტე პროექტი დაიწყება თბილისში და შემდეგ რეგიონებზე გადავალთ. ასეთი გეგმა გვაქვს“.**

როგორც გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ამისთვის პირველ რიგში საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო.

**„დღევანდელი ადმინისტრაციულ სამართლადარღვევთა კოდექსი ჯარიმის ნაწილში დასაკორექტირებელია. საშემოდგომო სესიაზე წესით გავიტანთ და პარლამენტი, ალბათ, მხარს დაგვიჭერს. ამის შემდეგ უკვე პროექტის განხორციელებას დავიწყებთ. შსს-ს დაინტერესებაც მაღალია. სამინისტროსთან ინტენსიური კომუნიკაციით შევთანხმდით, რომ აქტიურად ჩავერთვებოდით. რაც შეეხება სანქციას, ამაზე ვმუშაობთ. ჯარიმა ისეთი იქნება, რომ მას ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, ანუ არ მიღირდეს, რომ ბოლავდეს და ასე ვიარო ქუჩაში. ვფიქრობთ, სანქცია ისეთი იყოს, რომ ავტომფლობელს მანქანით გადაადგილების უფლება არ ჰქონდეს, ვიდრე მეორე ინსპექტირებას არ გაივლის“,** – აცხადებს კორკოტაძე.

რადიო „ფორტუნა“ ამ საკითხზე ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარესაც დაუკავშირდა, რომელმაც გვითხრა, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ეს მხოლოდ ფურცელზე დაიწერება, თუ ტექნიკურად შესრულდება.

**დავით მესხიშვილი: „ერთადერთი წამალი, რომ ავტომობილები ბოლს აღარ უშვებდნენ , კანონის გზით აღსრულებაა და ეს მნიშვნელოვან ნაბიჯად მიმაჩნია. მეორე საკთხია – ფურცელზე დაიწერება, რომ მოხდება დაჯარიმება, თუ ტექნიკურად როგორ შესრულდება. ეს ადვილი არ იქნება. როგორც ვიცი, დაახლოებით 3 ხელსაწყო იქნება გადაცემული საპატრულო პოლიციისთვის. ამიტომ ახალი ტექნოლოგიები უნდა დაინერგოს. ეს არის სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გზაზე მონტაჟდება, ის საპატრულო პოლიციას არ საჭიროებს. არ გჭირდება, რომ გაეკიდო, გააჩერო და ა. შ. შეუძლებელია პოლიციამ ყველაფერი აკონტროლოს, თამბაქოს მოწევიდან დაწყებული გამონაბოლქვით დამთავრებული. ჩვენი პოზიცია და რეკომენდაცია იქნება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება“.**

დავით მესხიშვილმა გვითხრა, რომ ისინი ამ საკითხის კვლევას მუდმივად აწარმოებენ და ეჭვი აქვთ, საწვავში მინარევებს ურევენ.

**„ჩვენ გვექნება და ვაჩვენებთ ვიდეოკადრებს, სადაც ჩანს, რომ ინსპექტირების დროს ტრანსპორტი არ ბოლავს, მაგრამ მერე ქუჩაში შავ კვამლს უშვებს. საზოგადოებრივ ტრანსპორტს რაც შეეხება, როგორც ვიცი, ინსპექტირებისთვის ავტობუსების „აწყობა“ ხდება, ანუ ერთი რომ გაივლის ტექინსპექტირებას, მერე იმ ნაწილებით მეორეს აწყობენ და ა. შ. მთავარი პრობლემა აღსრულებაა“,** – აცხადებს მესხიშვილი. რაც შეეხება კანონპროექტს, მას გარემოს დაცვის სამინისტრო პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე გაიტანს, მანქანების ქუჩაში შემოწმება კი 2020 წლიდან დაიწყება.

**„ფორტუნა“**

# მევენახისთვის გულის აცრუება ქვეყნის ღალატია!

## მსხვილი კომპანიები ავად მომჭირნეობენ!





### ლევან კობერიძე:

## მევენახე ყურძნის ნაცვლად, ერთწლიანი კულტურების გაშენებას დაიწყებს და მერე გვიანი იქნება თავში ხელის შემორტყმა

**„გლეხს არანაირად არ უნდა უჭირდეს რქაწითელის ჯიშის ყურძნის ჩაბარება გაცილებით უფრო მაღალ ფასად, ვიდრე 70 თეთრია. მაქვს მოსაზრება, რომ ვიღაცებს აწყობთ, რომ რქაწითელის ფასი იყოს შედარებით დაბალი. მსხვილ კომპანიებს, რომელთაც საბრენდე მასალად ან საკონიაკე მასალად უნდათ იაფიანი ნედლეულის შესყიდვა, მათ ხელში უვარდებათ რქაწითელი იმაზე იაფად, ვიდრე გლეხს აქვს სურვილი, ვიდრე შრომა დახარჯა და ვიდრე მისი რეალური ღირებულება შეიძლება იყოს ბაზარზე.“** — ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი **ლევან კობერიძე** დღეს ყურძნის ბაზარზე არსებულ სიტუაციას, რომელიც მევენახეებისთვის უკვე წლებია, პრობლემურია და მიიჩნევენ, რომ ყველაზე გავრცელებული ყურძნის ჯიში რქაწითელი მათი შრომისა და ჩადებული რესურსების გათვალისწინებით 70 თეთრზე ბევრად მეტი უნდა ღირდეს.

**როგორ უნდა გახდეს ყურძნის ფასი გლეხის შრომის ადეკვატური? რა ძირითადი პრობლემები არსებობს დღეს ტრადიციულ მეურნეობაში და რა უნდა გააკეთოს ან არ უნდა გააკეთოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ გლეხისთვის ყურძნის წარმოებას აზრი ჰქონდეს? ამ საკითხებზე „კომერსანტის“ შეკითხვებს ლევან კობერიძემ ვრცლად უპასუხა**. დეპუტატი ორ ძირითად პრობლემას გამოჰყოფს იმის ხაზგასასმელად, თუ რატომ დგება დღეს ქართული ყურძნის ბაზარი იმ ძირითადი გამოწვევის წინაშე, რასაც გლეხების მიერ ტრადიციული მეურნეობის მიტოვება და მევენახეობის დაბალი მოტივაცია ჰქვია.

მისი თქმით, ძირითადი საკითხი ღვინის ხარისხის კონტროლის არარსებობას უკავშირდება. საუბარი ეხება ჩამოსასხმელ ღვინოს, რომლის მთავარ ნედლეულს სწორედ საქართველოში უხვად მოყვანილი რქაწითელი წარმოადგენს. თუმცა რქაწითელის სიუხვე მაინც ვერ აანაზღაურებდა ღვინის იმ მოცულობას, რაც ყოველწლიურად საქართველოში მოიხმარება, რომ არა ამ ღვინის ე.წ. გაბევრება და ფალსიფიცირება. შესაბამისად, დეპუტატი ხაზს უსვამს, რომ ღვინის ხარისხის კონტროლის გზით რქაწითელის ფასის გადარჩენა შეიძლება, თუმცა, დღემდე ამას არავინ აკეთებს.

**„ხელისუფლება რთვლის პერიოდში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე იწყებს იმპულსურად მოქმედებას, თუმცა, საჭიროა მიუდგეს ამ საკითხს სისტემურად და გონივრულად. მთავარია, შევხედოთ ციფრებს, რომელსაც ყველა უგულებელყოფს და მათი ანალიზი გავაკეთოთ. ჯაჭვი ასეთია — რქაწითელი, რომელიც არის ჩასაბარებელი, სად მიდის, სად იყიდება, რაში სჭირდება მყიდველს და ვინ იყენებს? ჩაბარების შემდეგ ერთ-ერთი მთავარი არხი არის ჩამოსასხმელი ღვინის ბაზარი, ანუ ვგულისხმობ რესტორნებსა და კაფეებს საქართველოს მასშტაბით. საქართველოს ბაზარზე ჩამოსასხმელი სახით ერთი ლიტრი ღვინო ღირს დაახლოებით 5-დან 7 ლარამდეც კი. ამ ღვინოში ძირითად შემთხვევაში გამოიყენება რქაწითელი. საქართველოში რქაწითელის ყურძნისგან დამზადებული ჩამოსასხმელი ღვინის მოხმარება არის დაახლოებით 70-80 მილიონი ლიტრი. ამ რაოდენობის ღვინო რომ დამზადდეს, პრაქტიკულად რთველზე რაც არის რქაწითელი ჩასაბარებელი, ის მასალა შეიძლება არც კი ეყოს. რეალურად, ესე იგი ხდება ფალსიფიკაცია და დასამალი არ არის, რომ ქართული რესტორნების უმრავლესობაში არის სავარაუდოდ ფალსიფიცირებული ან უვარგისი ან, როგორც ეძახიან, გაბევრებული ღვინო. წინაალმდეგ შემთხვევაში, გლეხს წესით ხელიდან უნდა სტაცებდნენ რქაწითელსაც ისევე, როგორც საფერავს. უბედურება სწორედ ის არის, რომ ამას არავინ არ უყურებს. აბა, დაიწყოს სახელმწიფომ რეალური კონტროლი რესტორნებსა და კაფეებში, მაშინ უკვე დეფიციტი იქნება რქაწითელის ჯიშის ყურძენი. ამაზე არავინ არ საუბრობს და გლეხებს მერე უხვევენ თვალს და ამბობენ, რომ თურმე 20 ივნისის ღამემ იქონია გავლენა და ა.შ. ჩვენ მოგვიწოდებენ, პოლიტიკოსები ნუ ერევითო რთვლის საკითხში და ამ დროს თვითონ გამოდიან ოფიციალური სტრუქტურები და ამბობენ, რომ 70 თეთრი ძალიან კარგი ფასია ყურძნისთვის. ჩარევაა, აბა, რა არის, როცა თვითონ ისინი განსაზღვრავენ თავიანთი საუბრით ყურძნის ფასს. რეალობა კი არის სულ სხვა. მე ამაზე ვსაუბრობდი წინა ხელისუფლების დროსაც, რადგან მაშინაც იდგა ფალსიფიკაციის პრობლემა და იგივე გრძელდება დღესაც.“** — აცხადებს ლევან კობერიძე.

აქვე აღსანიშნავია ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც წლებია, ყველა მომხმარებელი და გლეხი ხედავს ყურძნის ფასების სხვაობაში ჩაბარებისას და მაღაზიებში გაყიდვისას. მაშინ, როდესაც ყურძენი ბარდება 70 თეთრად, იგივე ყურძენი მაღაზიაში იყიდება 2-დან 2,5 ლარად. როგორ რეგულირდება ეს ფასწარმოქმნა და რასთან აქვს საქმე მოსახლეობას?

**„დღეს გადამყიდველებს მიაქვთ ყურძნიდან მოგების მეტი წილი და ეს არის მთავარი პრობლემა. გლეხი რჩება ყველაზე მეტად წაგებული. ე.წ. ყურძნის ბირჟების შექმნა აუცილებელია, როგორიც არის საფრანგეთში, იტალიაში და სხვა ტრადიციული მეღვინეობის ქვეყნებში. ამ ბირჟებზე ჩვეულებრივ მოქალაქეებს, გლეხებს შეუძლიათ თავიანთი მოსავალი ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე მიიტანონ და იქ ჩააბარონ. მათ ეცოდინებათ, რომ მათი პროდუქტი დადგენილი საბაზრო ფასით ავტომატურად გაიყიდება.**

**„ქართული ოცნება“ ამბობდა, 1 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოსო ყურძენი და ვეთანხმებოდი. მათი ხელისუფებაში მოსვლის დროს კურსი იყო 1,65 და გადათვალეთ დოლარზე რამდენია. ახლა არის კურსი 3 ლარამდე. ქიმიკატები და მოსავლელი მასალა ვენახისთვის, ყველაფერი შემოდის იმპორტით და, შესაბამისად, უძვირდება გლეხს მოწეული ყურძნის ღირებულება. 70 თეთრსა და 2,5 ლარს შორის 300 პროცენტი არის მოგება, ვის მიაქვს ეს მოგება? უბრალოდ იმას, ვისაც ჩამოაქვს? გამოდის, რომ ის ყოფილა ყველაზე ჭკვიანი ბიზნესმენი, როცა არც ყურძენს უვლის და არც არაფერი, მაგრამ მაინც გლეხსა და მაღაზიას შორის იღებს სამმაგ მოგებას.**

**გლეხს უნდა მისცე საშუალება, შეძლოს ყურძნის გაყიდვის ადგილამდე ისე მიტანა, რომ არ დასჭირდეს ამდენი შუამავალი რგოლი. წელს კახეთში ყველა ღვინის ქარხანასა და გლეხს შორის არის უამრავი შუამავალი და ადამიანი, რომელთანაც, დარწმუნებული ვარ, ის მოგება მიდის, რის მესამედსაც არ იღებს გლეხი. თუ ეს სასაქონლო ბირჟები იარსებებს, ეს რგოლი ამოვარდება და რეალურად გლეხს მიეცემა საშუალება, რომ უნდა ქარხანას მიჰყიდის თავის მოსავალს, უნდა კერძო პირს. მათ მიეცემათ საშუალება, რომ ნაკლებ დროში მიაწოდონ იმ სტრუქტურას ყურძენი, რომელიც უზრუნველყოფს გაცილებით უფრო მაღალ ფასს.**

**როდესაც ვსაუბრობთ, რომ ქვეყანას და მთავრობას უნდა ჰქონდეს ხედვები ინფრასტრუქტურულ და რეგიონალურ განვითარებასთან დაკავშირებით, მათ ეს მხოლოდ გზების დაგება ჰგონიათ. რეგიონული განვითრების კონცეფციაში უნდა შედიოდეს ის, რომ მეღვინეობის მხარეებში შეიქმნას მევენახეთა გაერთიანებებიც.** — აცხადებს ლევან კობერიძე.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ იმ ხარჯების გათვალისწინებით, რაც ყურძნის მოყვანას სჭირდება და ჩაბარების ფასის გათვალისწინებით, გლეხების უმეტესობა ერთწლიანი კულტურების გაშენებას ამჯობინებს. ეს კი ხელისუფლების არაგონივრული პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იქნება.

**მარიამ მორგოშია**

---

# ყურძენი — გლეხისთვის სასურველ ფასად!

## „ყურძნის ბირჟა“ — მოსავლის გაყიდვის ალტერნატიული გზა ინტერნეტში

**უკვე რამდენიმე დღეა, ინტერნეტსივრცეში ვებსაიტი „ყურძნის ბირჟა“ გამოჩნდა.**

ვებგვერდზე თავად მევენახე წერს დეტალურად, რა ჯიშისა და რაოდენობის ყურძენი აქვს გასაყიდი, სად მდებარეობს ვენახი, რა ღირს ერთი კილოგრამი ყურძენი და როდის უნდა მოიკრიფოს მოსავალი.

იქვე მითითებულია კონკრეტული მევენახის საკონტაქტო ინფორმაცია. როგორც ვებგვერდზე წერია, მისი შემქმნელები არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და ერთადერთი მიზანი აქვთ — უგულშემატკივრონ მევენახეებს. ეს პროექტი ერთგვარი ალტერნატივაა ღვინის ქარხნების, სადაც ყურძენს არა გლეხისთვის სასურველ ფასად, არამედ ბიზნესმენის მიერ დადგენილ ფასად იბარებენ.

პროექტის ხელმძღვანელ გიგა გოთოშიას თქმით, „ყველაზე მნიშვნელოვანია, ბაზარზე ჩამოყალიბდეს სამართლიანი ფასი და არა ისეთი, როგორიც უნდა ღვინის კომპანიას“. გოთოშიასავე განცხადებით, მართალია, ქვეყანაში მოწეული ყურძენი მხოლოდ ამ ფორმით ვერ გაიყიდება, მაგრამ ფიქრობს, რომ კარგ მოსავალს მაღალი ფასი უნდა ჰქონდეს და ეს პროექტი ამ შესაძლებლობას აუცილებლად გააჩენს.

**„მევენახეს უწევს ყურძნის ჩაბარება და არა გაყიდვა. ეს ტერმინი „ჩაბარება“ დიდი ხანია, დამკვიდრებულია. გინდა თუ არ გინდა, ყურძენი უნდა ჩააბარო ქარხანას, იმისდა მიუხედავად, გთავაზობს თუ არა კარგ ფასს. მევენახეები არაორგანიზებული, დიდი ჯგუფია. ამის საპირწონედ, არ მინდა კარტელური გარიგება დავარქვა, თუმცა ქარხნები ერთმანეთში თანხმდებიან, თუ რა ფასი ექნება ყურძენს, ხარისხის მიუხედავად. ამ დროს არის ვიღაც, რომელსაც მაღალი ხარისხის ყურძენი უნდა და მასში მაღალ ფასსაც გადაიხდის, თუმცა ამაზე ინფორმაცია არ აქვს არც მეღვინეს და არც რეალიზატორს. სწორედ ამიტომ შეიქმნა ვებგვერდი, რათა მევენახემ, ვისზეც ყველაზე დიდი შრომა მოდის, შესაბამისი ხარისხის მოსავალი გაყიდოს შესაბამის ფასად“.**

გასული წლისგან განსხვავებით, წელს კახელი მევენახეები ყურძნის ფასით უკმაყოფილო არიან. ერთ კილოგრამ რქაწითელს ღვინის ქარხნები 70 თეთრად იბარებენ, რასაც მევენახეები აქციებით აპროტესტებენ, თუმცა მათ მოთხოვნას, ფასი ერთ ლარამდე გაიზარდოს, ქარხნები ამ დრომდე არ აკმაყოფილებენ. მევენახეები წელს იმაზეც ჩივიან, რომ ყურძენს ცოტა საწარმო იბარებს და რეალურად მათ მოსავლის 70 თეთრად ჩაბარებაც კი უჭირთ.

ინტერნეტში შექმნილ „ყურძნის ბირჟაზე“ ერთ-ერთი მომხმარებელი წერს, რომ აქვს 5 ტონა ხიხვის ჯიშის ყურძენი. ვაზი, რომელზეც მოსავალი უნდა მოიკრიფოს, 8 წლისაა და მფლობელი მის შესაწამლად იყენებდა სპილენძს. მითითებულია ფასიც. როგორც მევენახე გვეუბნება, გასულ წელს ყურძენი 3 ლარად გაყიდა, თუმცა, რადგან წელს მოთხოვნა დაბალია და ქარხნები ყურძენს ნაკლებად იბარებენ, ფასი დააკლო და იმედი აქვს, რომ მოსავალს ამ ფორმით მაინც გაყიდის:

**„ამ გვერდის შესახებ ახლა გავიგე და განცხადება განვათავსე. იქნებ ამ ფორმით მაინც გავყიდო, რადგან ქარხნები, ფაქტიურად, არ იღებენ მოსავალს, ამ დროს კი ყურძენი ფუჭდება. წინა წელს 3 ლარად გავყიდე, მაგრამ წელს ერთი ლარი დავაკელი და ვნახოთ, რა იქნება“.**

ვებგვერდ „ყურძნის ბირჟაზე“ არა მარტო მევენახეები, არამედ ის ადამიანებიც არიან დარეგისტრირებული, ვისაც ყურძნის შეძენა სურს. მაგალითად, ერთ-ერთი მომხმარებელი კონსტანტინე წერს, რომ შეიძენს რქაწითელს და ერთ კილოგრამში გადაიხდის 1 ლარსა და 20 თეთრს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი **ლევან მეხუზლა** ერთ-ერთია იმ თანამდებობის პირთა შორის, ვისაც მევენახეები ყურძენზე ფასის მომატების თხოვნით თითქმის ყოველდღე მიმართავენ, თუმცა არა მარტო მეხუზლა, სხვებიც მუდმივად მიუთითებენ, რომ ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო პრინციპებია და ნებისმიერ პროდუქტზე, მათ შორის ყურძენზე, ფასს არეგულირებს ბაზარი. მეხუზლას ვკითხეთ, რას ფიქრობს ყურძნის გაყიდვის ალტერნატივაზე, „ყურძნის ბირჟაზე“. მისი თქმით, ეს პროექტი, ალბათ, ყველაზე კარგი საშუალება იქნება იმისთვის, რომ მევენახე და მყიდველი მესამე პირის გარეშე დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

**„ფერმერებში ჯერჯერობით არ არის მაღალი ტექნოლოგიების ცოდნა, მაგრამ, ვისაც ხელი მიუწვდება, ძალიან კარგი პლატფორმაა, იმიტომ, რომ გამყიდველს საშუალებას აძლევს, მესამე პირის გარეშე დაუკავშირდეს მყიდველს. ეს საქართველოსთვის ინოვაციური პრაქტიკაა, თუმცა მსოფლიო მასშტაბით უკვე კარგად არის აპრობირებული“,** — განაცხადა **ლევან მეხუზლამ,** ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ და რთვლის შტაბის ხელმძღვანელმა.

ინტერნეტრესურს „ყურძნის ბირჟის“ დამფუძნებლები ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც პორტალი ონლაინსივრცეში გავიდა, მათ დაუკავშირდნენ ადამიანები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მსგავსი სივრცე შეიქმნას, მაგალითად, ახალციხისთვის, სადაც კარტოფილის რეალიზაციის დროს ისეთივე პრობლემები აქვთ ფერმერებს, როგორიც კახეთში მევენახეებს.

**გიორგი ალადაშვილი**

სეოკი

# დიპლომები გადაეცათ

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივითა და სოკ-ის პროგრამული დაფინანსებით 2014 წლიდან ყოველწლიურად ტარდება სპორტის მენეჯმენტის კურსები, რომელიც სასპორტო ორგანიზაციებში, ეროვნულ ფედერაციებსა და სპორტის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს, თანამშრომლებსა და მოხალისეებს ოლიმპიური სპორტის ორგანიზაციების მართვის (MOSO) სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მასალებისა და მოწვეული ექსპერტების დახმარებით კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას აძლევს.**

სპორტის მენეჯმენტის კურსები 6 თემას მოიცავს. ესენია: ოლიმპიური სპორტის ორგანიზაციების მართვა; სტრატეგიული მართვა; ადამიანური რესურსების მართვა; ფინანსური მართვა; მარკეტინგი და მასშტაბური სასპორტო ღონისძიების ორგანიზება.

სპორტის მენეჯმენტის უმაღლეს კურსებზე, რომელსაც უძღვებოდნენ სოკ-ის მიერ სერტიფიცირებული პროგრამის დირექტორი, სეოკ-ის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი რუსუდან აფციაური, კურატორები და მოწვეული ექსპერტები, წლეულს კვალიფიკაცია 15-მა სპეციალისტმა აიმაღლა. წარმატებულ კურსდამთავრებულებს სოკ-ის დიპლომები სეოკ-ის პრეზიდენტმა **ლერი ხაბელოვმა** გადასცა.

ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში დიპლომების გადაცემის ღონისძიებას დაესწრნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი, გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სოკ-ის მიერ სერტიფიცირებული პროგრამის დირექტორი რუსუდან აფციაური.

**ლექსო ცინცაძე**



რაგბი ჩვენი თამაშია!

# ამჯერად - ამომავალი მზის ქვეყანაში



**გუშინ იაპონიაში დაიწყო მსოფლიო სარაგბო თასის მეცხრე გათამაშება.**

აზია პირველად მასპინძლობს უმაღლესი რანგის ფორუმს, წლეულს თამაშები კი 12 ქალაქის სტადიონებზე გაიმართება. ესენია: ტოკიო, იოკოჰამა, ფუკუოკა, საპორო, ოიტა, შიზუოკა, საიტამა, ოსაკა, ივატე, კობე, კემამოტო და აიჩი.

თვენახევრიანი მარათონის 20 მონაწილე წილისყრამ ასე „დაახარისხა“.

**„ა“ ჯგუფი**. ირლანდია, შოტლანდია, იაპონია, რუსეთი, სამოა.

**„ბ“ ჯგუფი**. ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, იტალია, ნამიბია, კანადა.

**„გ“ ჯგუფი**. ინგლისი, საფრანგეთი, არგენტინა, აშშ, ტონგა.

**„დ“ ჯგუფი**. ავსტრალია, უელსი, საქართველო, ფიჯი, ურუგვაი.

„ბორჯღალოსანთა“ შეხვედრების კალენდარი ასეთია:

**23 სექტემბერი:** უელსი — საქართველო.
**29 სექტემბერი:** საქართველო — ურუგვაი.
**3 ოქტომბერი:** საქართველო — ფიჯი.
**11 ოქტომბერი:** ავსტრალია — საქართველო.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ზედიზედ მეხუთედ დაიცავს ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ვებ ელისის თასისათვის ბრძოლაში, რომელიც აქამდე სულ ოთხ გუნდს აქვს მოგებული — ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, სამხრეთ აფრიკასა და ინგლისს.

რაც შეეხება ისტორიას, ჩვენებურთა ბალანსია ოთხი მოგება და 12 წაგება. ყველაზე უხერხულმა მეტოქემ — არგენტინამ სამივე მატჩში დაგვამარცხა, ხოლო სარეკორდო შედეგით ინგლისმა ჩაგვიტარა გარკვეთილი 2003 წელს ავსტრალიაში — 84:6.

რაც შეეხება გამარჯვებებს, ორჯერ ვძლიეთ ნამიბიას (აქედან პირველად 2007 წელს საფრანგეთში საუკეთესო სხვაობით — 30:0), თითოჯერ კი — რუმინეთსა და ტონგას.

**იაპონია — რუსეთი 30:10**

**კობა კობახიძე**

ჩოგბურთი

# მოგებით დაიწყო



**საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერი ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციით მე-17 ადგილზეა, მეცის ტურნირში მეორე მონრადაა განთესილი. სტარტზე იგი ისვენებდა, მეორე წრეში კი გერმანელ იანიკ მადენს (რეიტინგით 129-ე) შეხვდა. პირველი პარტია ჩვენებურმა იოლად მოიგო — 6:2. მეორეში ალემანი 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ბასილაშვილმა წონასწორობის აღდგენა შეძლო — 6:6. მადენი ტაი-ბრეიკშიც წინ გავიდა 6:4 და საერთო ანგარიშის გაქვითვას ერთი ზუსტი დარტყმაღა აშორებდა, მაგრამ ქართველმა ჩოგბურთელმა ზედიზედ ოთხი ქულის ართმევით 8:6 გაიმარჯვა. მატჩის განმავლობაში მან 14 ეისი მიითვალა და 4 ორმაგი შეცდომა დაუშვა.**

მეოთხედფინალში ბასილაშვილი 34 წლის ჟო-ვილფრიდ ცონგას (61-ე) დაუპირისპირდება. ქართველი და ფრანგი აქამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ანგარიშია 1:1. ორი წლის წინათ ლიონში მასპინძელმა მიაღწია წარმატებას — 6:2, 3:6, 6:1, ხოლო ნიკოლოზმა ცონგა წლეულს, ასევე, ლიონში დაამარცხა — 6:4, 6:4.

**გივი გაგუა**

სუმო

# ბრძოლას აგრძელებს!

**აკი ბაშოს მე-13 საშეჯიბრო დღე წარმატებული გამოდგა ქართველი სუმოისტებისთვის, რადგან როგორც თეიმურაზ ჯუღელმა, ისევე ლევან გორგაძემ იგი გამარჯვებებით დაასრულეს.**

ტოჩინოშინი მეხუთე მაეგაშირა რიუდენს დაუპირისპირდა და იორიკირის ილეთით დაამარცხა. ჩვენებურმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და ოძეკის ტიტულის დასაცავად ბრძოლას აგრძელებს.

ტოჩის აღნიშნული გამარჯვებით 6 მოგების საპირისპიროდ 7 მარცხი აქვს და დარჩენილი 2 ორთაბრძოლიდან ორივე უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ოძეკის პრესტიჟულ წოდებას დაკარგავს და მისი დაბრუნება მომდევნო ბაშოზე მოუწევს, ამისთვის კი მინიმუმ 10 ორთაბრძოლის მოგება იქნება საჭირო, თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენებურს ამის საჭიროება არ გაუხდება.

აღნიშნული წყვილი ერთმანეთს მესამედ შეება და ურთიერთშეხვედრებში ლევანს დადებითი ბალანსი — 2 მოგება და 1 მარცხი გაუხდა. რაც შეეხება რიუდენს, მას წლის მეხუთე სუპერტურნირზე ტოჩის მსგავსად 6 მოგების წილ 7 მარცხი აქვს.

ჩვენებურის მომდევნო მეტოქე მეექვსე მაეგაშირა მიიოგირიუ იქნება, რომელსაც გორგაძე აქამდე 21-ჯერ შეხვედრია და 12 ორთაბრძოლა მოიგო, 9 კი მარცხით დაასრულა.

რაც შეეხება სხვა სუმოისტებს: სექტემბრის ბაშოს 10:3-ზე ბალანსით მიტაკეუმი, ცურუგიშო და ტაკაკეიშო ლიდერობენ, ხოლო 9:4-ზე ბალანსი იუტაკაიამას, გოეიდოს, ასანოიამას, ტაკარაფუჯისა და მეისეის აქვთ.

**ვიტალი ჯაფარიძე**



დაბრუნება

# დიდი სტიმული

**თბილისის „დინამოს“ ახალწვეულმა ლევან მჭედლიძემ პირველი კომენტარი გააკეთა. ქართველი თავდამსხმელის განცხადებით, ბედნიერია, რომ საქართველოში დაბრუნდა და „დინამოზე“ არჩევანის გაკეთება არ გასჭირვებია.**




„ძალიან მოხარული ვარ. „დინამო“ ავირჩიე, რადგან დიდი გუნდია და საქართველოში დაბრუნება დიდი სტიმულია. მივესალმები გულშემატკივარს. მოვუწოდებ მათ, რომ დაგვიდგნენ გვერდით და ერთად მივაღწევთ წარმატებებს.

დაძაბული ჩემპიონატია. გუნდს შევუერთდები და ჩემს მაქსიმუმს დავდებ. ვეცდებო, რომ ყველაფერი გავაკეთო და ბიჭებთან ერთად ჩემპიონობა მოვიპოვო.. ბავშვობაში მამაჩემისგან ბევრი ისტორია მაქვს „დინამოზე“ მოსმენილი და როდესაც გადავწყვიტე, რომ ჩამოვსულიყავი საქართველოში, მაშინვე მამაჩემმა მითხრა, რომ გუნდი „დინამო“ უნდა ყოფილიყო. ნამდვილად ბედნიერი ვარ ამ გადაწყვეტილებით. დიდ მადლობას ვუხდი კლუბის პრეზიდენტს რომან ფიფიას და ყველას, ვინც ამაში მონაწილეობა მიიღეს“, — აღნიშნა მჭედლიძემ.

შეგახსენებთ, რომ მჭედლიძემ „დინამოსთან“ 1+1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და თბილისურ გუნდში 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# 50 000-ლარიანი საპრიზო ფონდით

**დღეს თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყება სახელოვანი ქართველი დიდოსტატის, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 11-გზის გამარჯვებულის, საქართველოს ოთხგზისა და საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონის, საჭადრაკო ოსკარის პირველი და ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის ორგზის მფლობელის, 2000-2002 წლებში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის, საქართველოს მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი ქალის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ პრეზიდენტ ნონა გაფრინდაშვილის თასის გათამაშება.**




შეჯიბრების საპრიზო ფონდია 50.000 ლარი, საიდანაც მთავარი ტურნირის გამარჯვებული 7.500 ლარით დაჯილდოვდება. პრიზიორებს შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გამოავლენს.

**ლაშა დიდია**



# „ჭარბი ჟანგბადი“ და უდიდესი კოლაფსი

**ალბათ აქამდეც გსმენიათ, რომ დედამიწამ წარსულში ხუთი მასობრივი გადაშენება გადაიტანა. ამ ოდენობის შესახებ ნამარხებიდან ვიცით, მაგრამ ეს სურათი არასრულია, რეალობასთან ახლოსაც კი არ არის.**

უძველეს ქანებში აღმოჩენილი მტკიცებულებები მეტყველებს, რომ ჩვენი პლანეტის ისტორიაში უძველესი გადაშენება დიდი ალბათობით ერთუჯრედიან ორგანიზმებს შორის მოხდა, ორ მილიარდზე მეტი წლის წინ. ახალი ანალიზები კი მიუთითებს, რომ ეს მომაკვდინებელი მოვლენა გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე ნებისმიერი შემდეგი, მათ შორის დინოზავრების ამოწყვეტაც კი.

სტენფორდის უნივერსიტეტის გეოლოგის, მალკოლმ ჰოდგსკისის განცხადებით, ეს იმაზე მიუთითებს, რომ მაშინაც კი, როცა დედამიწაზე ბიოლოგია მთლიანად მიკრობებისგან შეიცავს, მაინც შეიძლება მომხდეს უდიდესი გადაშენება, რომლის შესახებ ცნობებს ნამარხებიც კი არ შემოინახავს.

ამ პერიოდს მკვლევრები „ნადიმისა და შიმშილის“ ამბავს უწოდებენ, რომელიც კომპლექსური სიცოცხლის განვითარებამდე, გაცილებით ადრე იდგა. 2,4 მილიარდი წლის წინ, დედამიწის ატმოსფეროში ჟანგბადი საკმაოდ მწირად იყო, ეს აირი ძირითადად ჩაჭედილი იყო მინერალებში ან წყალში.

ამის შედეგ გამოჩნდა ციანობაქტერია; ზღვის ამ ციცქნა ორგანიზმს ფოტოსინთეზის უნარი ჰქონდა, მზის სხივების გამოყენებით ჰაერში ჟანგბადს უშვებდა.

დადგა ე. წ. დიდი დაჟანგვის მოვლენა (GOE), როდესაც სიცოცხლე გაიფურჩქნა, გამრავალფეროვანდა და გავრცელდა. ამის შემდეგ, გარკვეული მიზეზით, უეცრად ყველაფერი აირია და დადგა კატასტროფული დასასრული.

მიზეზის გასარკვევად, სტენფორდის მეცნიერებმა მიმართეს მინერალ ბარიტს, რომელიც სუბარქტიკულ კანადაში, ბეჩლერის კუნძულებზე მოიპოვება. იქ ლანდშაფტი მილიარდობით წლის წინანდელია, რაც იმას ნიშნავს, რომ ინახავს ჩვენი პლანეტის ატმოსფეროში არსებული ჟანგბადის დიდი ხნის ჩანაწერებს.

ამ ქანებში არსებული ჟანგბადის, გოგირდისა და ბარიუმის იზოტოპების გაზომვის შემდეგ, კვლევის ავტორებმა იპოვეს უარყოფითი ჟანგბადის იზოტოპები, რომლებიც დიდი დაჟანგვის მოვლენიდან მალევეა წარმოქმნილი, დაახლოებით 2,05 მილიარდი წლის წინ. ამას უნდა დასჭირვებოდა პირველადი წარმოების ბაქტერიების სწრაფი შემცირება, სავარაუდოდ, ხუთჯერ ან პოტენციურად 200-ჯერ.

ავტორთა განცხადებით, ასეთი უზარმაზარი კოლაფსი სავარაუდოდ, გამოწვეული იყო კრიტიკულად საჭირო საკვები ნივთიერებების ნაკლებობით, მაგალითად, ფოსფორის, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია ციანობაქტერიის გადანაწილებისა და განვითარების განსაზღვრისთვის.

როგორც ავტორები წერენ, ასეთი ვარდნის მიზეზი სავარაუდოდ იყო ბიოსფეროს საკვები ნივთიერებების დიდად შემცირება, რაც დაკავშირებულია დიდი დაჟანგვის მოვლენასთან; ამას კი მოჰყვა მილიარდწლიანი ინტერვალი, რომელიც გამოირჩეოდა მნიშვნელოვნად დაბალი და სტაბილური ზრდით.

ეს აღმოჩენა მხარს უჭერს „ჭარბი ჟანგბადის“ თეორიას, რომლის მიხედვითაც, როცა ოკეანეში ჟანგბადის გამომყოფმა მიკროორგანიზმებმა პირველად იფეთქეს, მათმა ოდენობამ კრიტიკულად მაღალ ნიშნულს მიაღწია და უკვე აღარ ჰყოფნიდათ საკვები ნივთიერებები, რამაც ატმოსფეროში ჟანგბადის შემცირება გამოიწვია.

ახალი მონაცემები კიდევ უფრო აძლიერებს მოსაზრებას, რომ საკვების ნაკლებობა მჭიდროდ არის მიბმული ატმოსფეროში ჟანგბადის დონესთან.

ეს მომაკვდინებელი მოვლენა, რომელმაც შორეულ წარსულში მიკროორგანიზმები მოსპო, უნდა ყოფილიყო ყველაზე მკაფიო ბიოტური ცვლილება დედამიწის ისტორიაში, ისეთ შემთხვევებზე უფრო მასშტაბური, როცა პლანეტის მცენარეული და ცხოველური სიცოცხლის ორმესამედზე მეტი გაწყდა. კვლევა PNAS-ში გამოქვეყნდა.

*მომზადებულია phys,org-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.*

# ცხოველის მიერ დატოვებული ერთ-ერთი უძველესი ნაკვალევი

**მეცნიერებმა აღმოაჩინეს კვალი, რომელიც სავარაუდოდ, დედამიწის ერთ-ერთი უძველესი ცხოველის მიერ არის დატოვებული მიწის ზედაპირზე. ნაკვალევის ასაკი დაახლოებით ნახევარი მილიარდი წელია და ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ძალიან ბევრი რამ გვითხრას ისტორიის ამ შორეული მონაკვეთისა და პირველი მოძრავი ორგანიზმების შესახებ.**

აღმოჩენა განსაკუთრებულია იმ მხრივაც, რომ ასევე აღმოჩენილია თავად იმ არსების ნამარხი, რომელმაც ეს ნაკვალევი დატოვა. ეს გახლავთ ციცქნა მწერები, სახელად Yilingia spiciformis (ილინგი არის ქალაქი ჩინეთში, რომლის სიახლოვესაც ეს ნამარხები აღმოაჩინეს). ამ მრავალფეხიანის მსგავს არსებათა სიგრძე 10 სანტიმეტრამდე უნდა ყოფილიყო.

ვირჯინიის მეცნიერებათა ტექნიკური კოლეჯის გეოლგის, შუჰაი სიაოს განცხადებით, ეს აღმოჩენა მიუთითებს, რომ სეგმენტირებული და მოძრავი ცხოველები 550 მილიონი წლის წინ ჩამოყალიბდნენ. მოძრაობის შედეგად კი, ცხოველები დედამიწაზე უშეცდომო ნაკვალევს ტოვებენ. აღმოჩენის ავტორ მკვლევრებს სჯერათ, რომ ეს აღმოჩენა იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, ვიდრე გვგონია, რადგან შეიძლება წარმოადგენდეს იმ ჩვენთვის ცნობილ ცხოველთა პირველ ნიმუშს, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებდნენ. Yilingia spiciformis-ი შეიძლება რაღაცას გაურბოდა ან მისი მიმართულებით მოძრაობდა, რისთვისაც ის დახვეწილ ცენტრალურ ნერვულ სისტემას იყენებდა. თუმცა, ამ ასპექტის საბოლოოდ დასამტკიცებლად დამატებითი კვლევებია საჭირო.

ის ფაქტი, რომ ბაღლინჯოს ჰქონდა თავი და კუდი, თანაც დაყოფილი იყო სეგმენტებად, მიუთითებს, რომ მან იცოდა მიმართულება, საითაც მიდიოდა, როცა ის პირველყოფილ წებოვან ტალახში გადაადგილდებოდა. დამატებითი ანალიზები აჩვენებს, რომ ეს არსება გზადაგზა ისვენებდა. მის მიერ დატოვებული ნაკვალევის სიგრძე 608 მილიმეტრია. აღმოჩენა კიდევ უფრო ამყარებს უკვე არსებულ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, ცოცხალ ქმნილებებს განზრახ გადაადგილების უნარი ედიაკარულ ეპოქაში, 635-540 მილიონი წლის წინ განუვითარდათ.

იმის უნარი, რომ თავი იქით მიმართო, საით წასვლაც გსურს, რა თქმა უნდა, უდიდესი ევოლუციური მიღწევაა, უპირატესობა, რომელიც ადამიანებს დღემდე გვაქვს. გადამეტებული არ იქნება იმის თქმა, რომ დედამიწაზე სიცოცხლე სამუდამოდ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ცხოველებს მოძრაობის უნარი განუვითარდათ – ორგანიზმებს გადაადგილება უკვე თავისით, საკუთარი ენერგიით შეეძლოთ. ეს იმხელა ძალაუფლება იყო, რომ საფუძველი მოამზადა ე. წ. სიცოცხლის აფეთქებისთვის, რომელიც კამბრიულ პერიოდში,, 541-485 მილიონი წლის წინათ მოხდა. სწორედ ამიტომ არიან მეცნიერები აღფრთოვანებული ამ კონკრეტული აღმოჩენით. ეს გახლავთ ერთ-ერთი პირველი ნიშანი დედამიწაზე სიცოცხლის ცვლილებისა, რომელმაც შემდეგ გავლენა მოახდინა ადამიანთა დღეს არსებული საზოგადოების მოქმედების თითქმის ყველა ასპექტზე. კვლევა ჟურნალ Nature-ში გამოქვეყნდა.



*მომზადებულია vt.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.*

# როგორი იყო დინოზავრების უკანასკნელი დღე

**66 მილიონი წლის წინათ დედამიწას ერთი საშინელი დღე დაუდგა. თანამედროვე მექსიკის ქალაქ ჩიკსულუბის სიახლოვეს, ზღვაში 81 კმ სიგანის ასტეროიდი ჩავარდა. ამ კატასტროფულმა მოვლენამ დედამიწაზე მაშინ არსებული სიცოცხლის 75 პროცენტი მოსპო.**



ასტეროიდის დაცემის შედეგად წარმოქმნილ ჩიკსულუბის კრატერში, ზღვის ფსკერიდან 500-1300 მეტრის სიღრმეში აღებული ქანების ნიმუშების გულმოდგინე შესწავლის შემდეგ, გეოლოგებმა გაარკვიეს, რა მოხდა იმ საბედისწერო დღეს. ყველაფერი მართლაც ჯოჯოხეთს ჰგავდა. კატასტროფის მრავალ ნიშანს შეიცავს მეცნიერთა მიერ აღებულ ნიმუშებში არსებული გამდნარი ქანები და ნახშირი; უცნაურია, მაგრამ ნიმუშებში არ აღმოჩნდა გოგირდი.

ტეხასის უნივერსიტეტის გეოფიზიკოს სინ გულიკის განცხადებით, ნიმუშები საოცარ დეტალებში აღადგენს იმ პროცესებს, რაც ასტეროიდის დაცემის შემდეგ წარიმართა. ასტეროიდმა წარმოქმნა რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლის ცუნამი, ამოტყორცნილი ქანები კრატერში უკან დაბრუნდა საოცარი სისწრაფით – ერთ დღეში დალექილია თითქმის 130 მეტრის სიმაღლის დეპოზიტები, რომლებმაც კრატერის მიდამოებში შეინახეს მონაცემები გარემოში არსებული იმ მდგომარეობის შესახებ, რაც ასტეროიდის დაცემიდან პირველი წუთებისა და საათების შემდეგ იდგა. თავიდან, შეჯახებამ პლანეტა ცეცხლის ალში გაახვია. შემდეგ დედამიწა გაიყინა, რასაც მოჰყვა ცარცულ-პალეოგენური გადაშენება, რითაც დასრულდა ცარცული პერიოდი, ამოწყდნენ არამფრინავი დინოზავრები.

გულიკის თქმით, იმ დღეებში ყველა დინოზავრი არ მომკვდარა, მაგრამ გაწყდა საკმაოდ დიდი ნაწილი.

როგორც გამდნარი ქანები მიუთითებს, ასტეროიდის დარტყმას 10 მილიარდი ატომური ბომბის ძალა ჰქონდა, ცეცხლის ალში გაახვია ათასობით კილომეტრით მოშორებით არსებული ტყეები, წარმოქმნილმა ცუნამიმ კი თანამედროვე ილინოისის შტატამდე მიაღწია. უკან დახევის შემდეგ, ცუნამიმ ახლად წარმოქმნილი კრატერისკენ წაიღო უამრავი მასალა, მათ შორის ქანები (რასაც მიუთითებს ნიადაგის სოკოებთან დაკავშირებული ბიომარკერები) და დამწვარი ხეების ნახშირი.

უშუალოდ ასტეროიდის დაცემას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა მიმდებარე ეკოსისტემებზე, მაგრამ პლანეტა დრამატულად ამის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა შეცვალა. ამაზე სწორედ ის მეტყველებს, რაც მკვლევრებმა კრატერში ვერ იპოვეს. კერძოდ, საქმე ეხება იმას, რომ კრატერიდან აღებულ ნიმუშებში არ აღმოჩნდა გოგირდის შემცველი მინერალები, რომელთა არსებობას იქ ბევრი ვარაუდობდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ დაცემისას ეს ქანები აორთქლდა, ატმოსფეროში გატყორცნა უზარმაზარი ოდენობის სულფატი აეროზოლები, სადაც ისინი მზის სინათლეს ბლოკავდნენ და რამაც შემდგომ წლებში დედამიწაზე ტემპერატურის დრამატული კლება გამოიწვია. მკვლევართა გათვლების მიხედვით, ასტეროიდის დაცემის შედეგად ატმოსფეროში უნდა ამოტყორცნილიყო დაახლოებით 325 მილიარდი ტონა გოგირდი. ეს ოდენობა კი ოთხჯერ მეტია 1883 წელს ინდონეზიაში ვულკან კრაკატაუს ამოფრქვევის შედეგად ამოტყორცნილ გოგირდზე; ამ ამოფრქვევამ დედამიწა მაშინ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში გააგრილა.

მეცნიერთა აზრით, სწორედ ეს გოგირდი აღმოჩნდა ნამდვილი მკვლელი. ყველაფერი კიდევ უფრო კატასტროფული გახადა ასტეროიდის დაცემის შედეგად გააქტიურებულმა ვულკანებმა. კვლევა ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნდა.

*მომზადებულია utexas.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.*

# ტალერი-ლებარდეს გზას რეაბილიტაცია უტარდება

**საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ტალერი-ლებარდეს გზა, მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტ ლებარდემდე მიდის და მისი კეთილმოწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ასევე, კურორტის განვითარებისა და ტურისტული თვალსაზრისით. მათივე ინფორმაციით, არსებული გზა ძლიერ დაზიანებული იყო, რაც ავტოტრანსპორტის გადაადგილებას აფერხებდა.**



პროექტის შესაბამისად, ხორციელდება გზის სრული რეაბილიტაცია: დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა ხელოვნური ნაგებობები, ადგილობრივ გზებთან მიერთებები, მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, საგზაო ნიშნები და განხორციელდება გზის ჰორიზონტალური მონიშვნა. ამ დროისთვის, გვერდულების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, პროექტის ღირებულება 3 599 999 ლარია.

# სისხიანი კლიმატის ურჩხული

**მეცნიერები იმის დადგენას ცდილობენ, თუ რა მოსდის ბოლო დროს დედამიწის კლიმატს, როგორ აისახება უახლოეს მომავალში კაცობრიობის ყოფა-ცხოვრებაზე თანამედროვე ანომალიური პროცესები. ამ უაღრესად აქტუალურ საკითხზე წლების მანძილზე ატმოსფერული პროცესების ინტენსიფიკაციის პრობლემით დაინტერესებულ კაცს, ჰიდროლოგ თამაზ მგელაძეს ვესაუბრეთ:**



— ის, რაც ამჟამად ხდება, ბოლო ორი-სამი ათასი წლის განმავლობაში კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა. ამ მხრივ, მკვლევარებმა აუარება მასალა შეისწავლეს, მათ ნაშრომებზე თვალის მიდევნება სავსებით შესაძლებელია ინტერნეტში, დიდძალი საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული სოლიდურ სამეცნიერო პერიოდიკაშიც. მოპოვებულ მონაცემთა განზოგადებით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ ეპოქაში დედამიწაზე (ოღონდ არა ერთიანად მთელ ტერიტორიაზე, არამედ მის ნახევარზე გაცილებით მცირე ფართობზე) უკვე იყო სერიოზული **დათბობის** პერიოდი (ეს, დაახლოებით IV-XIII საუკუნეებია). დათბობის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ დედამიწის უკიდურესი ჩრდილოეთი-არქტიკა, პრაქტიკულად, ზღვაოსნობისთვის თავისუფალი იყო, რითაც კარგად ისარგებლეს ვიკინგებმა. ამას (პირობითად XVI-XVIII საუკუნეების) მცირე გამყინვარების პერიოდი მოჰყვა, თანაც ის დედამიწის სხვადასხვა რეგიონში მონაცვლეობით „გადადიოდა“.

ახლა კი საქმე სულ სხვაგვარადაა: **კლიმატი, ფაქტობრივად, მთელ პლანეტაზე ერთიანად შეიცვალა**. ზოგადად თუ ვილაპარაკებთ, მთლიანად კაცობრიობის მომავლისთვის საყოველთაო დათბობის შედეგების პროგნოზირება, თანამედროვე სუპერმძლავრი გამომთვლელი ტექნიკის დახმარებითაც კი, შეუძლებელია. უფრო გასაგები რომ გახდეს, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ციმბირსა და ამაზონში წლევანდელი უზარმაზარი ხანძრები, რომელთა ფერფლმა უკვე დედამიწის ორივე პოლუსს მიაღწია და საყოველთაო დათბობის პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს, რადგან ჭვარტლი ყინულების უფრო სწრაფად დნობას უწყობს ხელს და მეორეც ის, რომ ატმოსფეროში წვის შედეგად მილიონობით ტონა ნახშირორჟანგი ხვდება, რომლის ჭარბი ოდენობის შთანმთქმელი აღარ არის...

გარდა ამისა, გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით არის კიდევ აუარება სხვა პრობლემა, ვთქვათ, გვალვები, მოუსავლიანობა, სასმელი წყლის დეფიციტის კატასტროფული ზრდა, საცხოვრისების გაგრილება... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ერთი რამ ცხადია, — გლობალურ დათბობასთან საბრძოლველად კაცობრიობის ინტელექტუალური, ტექნიკური და ეკონომიკური მთელი რესურსების გამოყენების დროულად დაწყებაა საჭირო, დრო კი რამდენი დაგვრჩა, კაცმა არ იცის...

**ესაუბრა**
**ოთარ ტურაბელიძე**

# გალიაში უფრო მეტი ფრინველი ცხოვრობს, ვიდრე ბუნებაში

**აშშ-სა და კანადაში ბოლო 50 წელია, ფრინველების პოპულაცია 3 მილიარდით შემცირდა, წერს BBC ორ კვლევაზე დაყრდნობით. პირველი კვლევის თანახმად, 1970 წლის შემდეგ აშშ-სა და კანადაში ფრინველების პოპულაცია 29%-ით შემცირდა. მეორე კვლევა კი აჩვენებს, რომ კუნძულ იავაზე და ინდონეზიაში გალიაში უფრო მეტი ფრინველი ცხოვრობს, ვიდრე ველურ ბუნებაში.**



მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს მონაცემები განგაშის საფუძველს იძლევა. კვლევები გამოცემა Science and Biological Conservation-ში გამოქვეყნდა. მანჩესტერის უნივერსიტეტის ასპირანტმა მარშალმა იავაზე 3 000 დიასახლისი გამოკითხა. კვლევის შედეგად მან და მისმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ კუნძულზე 75 მილიონი ფრინველი ტყვეობაში და გალიაში ცხოვრობს. მეცნიერები აცხადებენ, რომ ტყვეობაში ფრინველების პოპულაცია მცირდება.

# მიგვიღებენ ისტორიული ბაღების ევროპულ კავშირში?

**პორტუგალიაში დღეს ისტორიული ბაღების ევროპული კავშირის გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების საკითხს განიხილავენ. კავშირში ახალი წევრი ქვეყნის მიღების შესახებ ქალაქ სინტრაში იმსჯელებენ, სადაც სახელწოდებით „ახალი ერა ისტორიული ბაღების მართვასა და შენარჩუნებაში“ ისტორიული ბაღების ევროპული კავშირის მესამე საერთაშორისო ფორუმი მიმდინარეობს.**

ფორუმს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის ხელმძღვანელობით, პირველად ესწრება საქართველოს დელეგაცია. საქართველოსთან ერთად, ევროპული გაერთიანების წევრობის კანდიდატია გერმანიაც.




ისტორიული ბაღების ევროპული კავშირი ქმნის „ისტორიული ბაღების მარშრუტს“, რომელიც ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტებში წევრიანდება.

სააგენტო განმარტავს, რომ ისტორიული ბაღების ევროპულ კავშირში შესვლის შემთხვევაში, საქართველო ავტომატურად ჩაერთვება ევროსაბჭოს კულტურულ მარშრუტში, სადაც ის ხუთი ისტორიული ბაღით იქნება წარმოდგენილი — თბილისის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, ქუთაისის ბოტანიკური ბაღი და წინანდლის ჭავჭავაძეების ისტორიული ბაღი. ამასთან, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო აღნიშნავს, ევროპულ მარშრუტში საქართველოს ისტორიული ბაღების გაწევრიანება ქვეყნის საბაღე-საპარკე ხელოვნების ძეგლებზე ისტორიული ბაღებით დაინტერესებული ვიზიტორების რიცხვს მნიშვნელოვნად გაზრდის. ისტორიული ბაღების ევროპულ კავშირში ამ დრომდე გაწევრიანებულია მხოლოდ სამი ქვეყანა: ესპანეთი, იტალია და პორტუგალია.

# პროტესტი რომ საქმეს შველოდეს!..

**მსოფლიოს 160-მდე ქვეყანაში კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო დემონსტრაციები იმართება. ამის შესახებ BBC წერს. გამოცემის ინფორმაციით, დემონსტრანტები წიაღისეული საწვავის ხანის დასრულებას და დედამიწის ბუნებრივი რესურსების სამართლიან გადანაწილებას ითხოვენ.**

დიდი ბრიტანეთის სხვადასხვა ქალაქში 150-მდე დემონსტრაცია იმართება, ავსტრალიაში კი აქციას უკვე 300 000 ადამიანი შეუერთდა. ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური დემონსტრაცია ნიუ-იორკში გაიმართება, სადაც 1700 სკოლის მოსწავლეებს აქციაში მონაწილეობის გამო გაკვეთილების გაცდენის უფლება მისცეს. მათ ნობელის პრემიაზე წარდგენილი 16 წლის შვედი აქტივისტი გრეტა ტუნბერგი შეუერთდება. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი სწორედ მისი მოძრაობა „Fridays For Future“ არის, რომლისთვისაც ტუნბერგს Amnesty 6nternaitonal-ის ჯილდო გადაეცა. 23 სექტემბერს კლიმატის ცვლილებაზე გაეროში ისაუბრებენ. გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეში საგანგებო სხდომას გამართავს და მსოფლიო ლიდერებს 2015 წლის პარიზის კლიმატური შეთანხმების პირობების შესრულებისკენ მოუწოდებს.



# „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე!!!“

**თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე კამპანია „დავასუფთავოთ მსოფლიო“ და „მსოფლიო დასუფთავების დღე“ აღნიშნეს. დასუფთავების აქცია პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში გაიმართა. კამპანიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში შვედეთის ელჩმა ულრიკ ტიდესტრომმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.**



პროექტი ორგანიზაციების „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, ბუნების მკვლევართა კავშირის „ორქისი“ და „საქართველო მწვანეთა მოძრაობის“ ორგანიზებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში დასუფთავების კამპანია საქართველოში წელიწადში ოთხჯერ იმართება.

# ს.ს.ი.პ – წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

**ობიექტი №1**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოები აწარმოოს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, მოქმედი სამთო საქმის უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დააზიანოს სალიცენზიო ობიექტის მიმდებარეთ არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ძეგლი;<br>დ) ლიცენზიის მფლობელს ეკრძალება ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების ჩატარება.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოები აწარმოოს გზის საფარის აღდგენითი სამუშაოების შესრულების პირობების გათვალისწინებით.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელის მიერ მკაცრად უნდა იქნეს დაცული შპს „დელტა კომმი“-ს საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის ხელშეუხებლობა;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა არ უნდა შეუქმნას საფრთხე შპს „დელტა კომმი“-ს საკუთრებაში არსებულ კომუნიკაციას და უზრუნველყოს აღნიშნული კომუნიკაციის უსაფრთხოება;<br>ი) შპს „დელტა კომმი“-ს თანამშრომლებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეუფერხებლად უნდა შეეძლოთ მათ საკუთრებაში არსებულ კომუნიკაციასთან მისვლა და საავარიო, სარემონტო, აღდგენითი თუ გეგმიური შემოწმებისათვის განსაზღვრული სამუშაოების ჩატარება; |
| | | კ) შპს „დელტა კომმი“-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციის დაცვის ზონაში, ნებისმიერი სახის სამუშაოების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა უნდა აცნობოს კომპანიას აღნიშნულის შესახებ და შპს „დელტა კომმი“-ს წერილობითი თანხმობის მიღების შემდგომ, სამუშაოები აწარმოოს კომუნიკაციის მფლობელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ტექნიკური პირობის შესაბამისად, შპს „დელტა კომმი“-ს წარმომადგენლის თანდასწრებით;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა დაუყონებლივ უნდა აცნობოს შპს „დელტა კომმი“-ს ყოველგვარი საფრთხის შესახებ, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს ან შეუძლებელი გახადოს შპს „დელტა კომმი“-ს მიერ კაბელით სარგებლობა, მათ შორის სტიქიური უბედურების დროს, მოვლენის დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს არსებული მდგომარეობის შესახებ;<br>მ) ლიცენზიის მფლობელის საქმიანობიდან გამომდინარე თუ საჭირო გახდება შპს „დელტა კომმი“-ს საკუთრებაში არსებული კომუნიკაციის (ხაზოვანი ნაგებობის) გადატანა, აღნიშნული სამუშაოები უნდა განხორციელდეს ლიცენზიის მფლობელის ხარჯებით, შპს „დელტა კომმთან“ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;<br>ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ო) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>პ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.<br>ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>რ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; |
| | | ს) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ტ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>უ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ფ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ქ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ღ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირველი მაისის მიმდებარე ტერიტორია, „პირველი მაისის“ კირქვის საბადო (კატეგორია $C_2$+P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 68 310 |
| | | ტონა ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირველი მაისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 859 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 185.9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 50% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 130 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №2**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე, წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს. |

| | | |
|---|---|---|
| | | დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წერილით (#2-03/12360 06.09.2019წ.) განსაზღვრული პირობები.<br>ე)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>თ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები.<br>ი) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს |
| | | სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორბელის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ლაჯანურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 6030 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორბელის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 243 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 524.3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 724 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №3**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ობიექტის მთელ ფართობზე, წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები.<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბარდნალას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ცაგერის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 103 980 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბარდნალას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 79 137 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე<br>(საწყისი ფასის 10 %) | 7 913.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 8 114 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| | დრო და თარიღი | |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ)ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბალისაკენ, მოქმდი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ვ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების |
| | | დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალპანას მიმდებარე ტერიტორია, „ალპანას" კირქვის (ღორღი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 3008 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ალპანას მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 419 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე | 41.9 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | (საწყისი ფასის 10 %) | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 410 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ)ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისკენ, მოქმედი სამთო საქმის წესებისა და ნორმების დაცვით, ფერდობის ბუნებრივი მდგრადობის შენარჩუნებით.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი არ უნდა ჩაიყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალი ღელის კალაპოტში, უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ |
| | | პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>ზ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის |

| | | |
|---|---|---|
| | | ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ლ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხუტელის მიმდებარე ტერიტორია, დოღურაშის გაბრო-დიაბაზის (სხვა საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 49 440 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხუტელის მიმდებარე ტერიტორია, |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 281 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 928.1ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 4 841 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| | ლიცენზიის სახე | |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ)მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაცის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მ-ს;<br>დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2019 წლის 20 ივნისის N2-03/8360 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები.<br>ე)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ზ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;<br>თ)ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთი არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ი)ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| | | |
|---|---|---|
| | | უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>კ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაკიეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 82 350 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ.ნაკიეთის მიმდებარე ტერიტორია. |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 55 210 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5 521 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 721 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2019 წლის 23 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 |
| | დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2019 წლის 21 ოქტომბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება. |

| | | |
|---|---|---|
